ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბერიკაშვილის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაბრუნება საზოგადოების შეურაცხყოფაა“ გვ.2



სამშაბათი, 5 აგვისტო, 2014 №183 (6494) ფასი: 30 თეთრი



გვ.3

# ვალერი გელბახიანი: „პატარკაციშვილსა და სააკაშვილს ურთიერთობა ქვანიას სიკვდილის შემდეგ გაუფუჭდათ“



## რატომ გააგზავნა შსს-მ ლონდონში თანამშრომლები

## კონსტიტუციას ისევ ცვლიან




## ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩებს ინვესტიციების მოზიდვაში დახმარება სთხოვა

გვ.4

## ელიზბარ ჯაველიძე: „თუ სააკაშვილს სახელმწიფო არ დასჯის, ამას იქმს ქართველი ხალხი“

გვ.6





## ვანო მერაბიშვილმა ევროსასამართლოს მიმართა

გვ.2

ISSN 1987-9385

# „მადლობა ღმერთს, რომ დედამისმა ფეხმძიმობა არ შეიწყვიტა“

## რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს შალვა ნათელაშვილი და ზვიად კვაჭანტირაძე

შორენა მარსაგიშვილი

მეოცნებეები და შალვა ნათელაშვილი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მათ შორის ზავი არც აქამდე ყოფილა დადებული. უბრალოდ, ცხელ ზაფხულში შეისვენეს ცოტა ხნით.



ცხელმა პოლიტიკურმა თემებმა კი ისინი ერთმანეთთან კვლავ დააპირისპირა. განხეთქილების ვაშლის როლი ამჯერად 7 ნოემბრის დარბევამ ითამაშა. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს სწორედ ამიტომ წარედგინა ბრალი.

7 ნოემბრის აქციაზე შალვა ნათელაშვილიც იყო. მას მიაჩნია, რომ ამ დარბევის გამო ბიძინა ივანიშვილიც უნდა გასამართლდეს.

– მე შინაგანად წაჩოქილ მოწინაალმდეგეზე დარტყმები არ მიყვარს, ჩემი რეაქცია იყო უარყოფითი, რადგან ნახევარი სიმართლის გზით ჩვენ ვერ მივალთ ჭეშმარიტებასთან, – ასეთი კომენტარი გააკეთა შალვა ნათელაშვილმა თოქ-შოუ „რეაქციაში“ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით.

ქართველი ლეიბორისტების ლიდერის თქმით, 7 ნოემბრის მოვლენებისთვის პასუხისგებაში მისაცემია ბიძინა ივანიშვილიც და ნინო ბურჯანაძეც.

– თუ პასუხისგებაში მიცემაზეა საუბარი 7 ნოემბრის მოვლენებზე, პასუხისგებაში უნდა მიეცეს არა მარტო ექსპრეზიდენტი, არამედ ამ რეჟიმის დამფინანსებელი, ვანო მერაბიშვილთან დღეში 50-ჯერ მრეკავი, 7 ნოემბრის ერთ-ერთი მთავარი დამგეგმავი ბიძინა ივანიშვილი და მასთან ერთად, საბრალდებო სკამზე უნდა დაჯდეს მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც რატიფიცირება გაუკეთა საგანგებო მდგომარეობას, რომელმაც მე პირადად გამომაცხადა რუსეთის აგენტად, ეს არის სიმართლე და თუ გვინდა იმის მიხედვით მოქმედება, რა აწყობს ბიძინა ივანიშვილს, მაშინ ასეთი პიარები არ მოგვაკლდება, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ნათელაშვილის განცხადებამ მეოცნებეები გადარია და აღაშფოთა. სოციალურ ქსელებშიც დიდი ალიაქოთი იყო. დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ნათელაშვილს სტატუსი მიუძღვნა. რასაც უკვე ლეიბორისტული ვაი-ვიში მოჰყვა.



დეპუტატმა ნათელაშვილს ის დრო გაახსენა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში ივანიშვილის გაპრემიერების პირობას რომ დებდა. მან ლეიბორისტების ლიდერს გათახსირებული კაცი უწოდა.

– პრემიერ-მინისტრად რომ დაპატიჟე ბიძინა ივანიშვილი და სასაცილოდ არ ეყო არავის, მაშინ ბიძინას ფულებზე არ ოცნებობდი? გათახსირებული კაცი ხარ შენ შალკა!!!. მიშას რეალური შნირი ხარ მინიმუმ 15 წელია უკვე... საზოგადოების ხორცმეტი ხარ და სიტყვას ვერ ბედავ მიშას წინააღმდეგ. შენ იყავი და რჩები ნაცების რეალურად დასმულ „შეურიგებელ ოპოზიციად“. ყოველთვის კარგად გრძნობდი თავს და დღესაც ფუფუნებაში ცხოვრობ. არამზადა და ნაძირალა ხარ, არასდროს გამილანძღიხარ ხმამაღლა, მაგრამ დღეს პირველად და საბოლოოდ ვიტყვი – შენნაირებზე ხომ არაა ნათქვამი, რომ შენს გაჩენას ჯობდა აბორტი გაეკეთებინა დედაშენსო? ბოდიში ჩემს მეგობრებს და ყველას, თავი ვერ შევიკავე. ახლა კი უკვე მეცინება ამ ჯოკერის ბოდვებზე, – წერს ზვიად კვაჭანტირაძე.

შალვა ნათელაშვილმა კი კვაჭანტირაძის დედას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მან აბორტი არ გაიკეთა. ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს სათანადო ყურადღების გამოვლენას სთხოვს. ნათელაშვილი კვაჭანტირაძეს არსებასაც უწოდებს.

– ეს არსება რომ არ მოვლენილიყო, ჩვენ ვერ გავიგებდით რა ცუდია უზრდელი უთავმოყვარეო და მლიქვნელი დეპუტატი ქვეყნისთვის, პირველ რიგში ამიტომ მადლობა ღმერთს, რომ დედამისმა ფეხმძიმობა არ შეიწყვიტა და ასეთი თავმსუბუქი შვა სამაგალითოდ. ორმაგად სამწუხაროა ის, რომ თურმე ეს ბატონი პარლანეტის საგარეო-პოლიტიკური კომიტეტის შეფია, იმედია საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიური კორპუსი კიდევ ერთხელ დარწმუნდება თუ რა პირობებში გვიწევს რეჟიმთან ბრძოლა, – აცხადებს ნათელაშვილი.

# დავით ნარმანია: „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება ძალიან კაბალურია“

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერიასა და კომპანია „სითი პარკს“ შორის დადებული ხელშეკრულების გასაიდუმლოებულ ნაწილს „ქართული ოცნება“



გაასაჯაროებს. ამის შესახებ ნარმანიამ საკრებულოს დეპუტატებთან შეხვედრისას განაცხადა.

„ძალიან კაბალური ხეშეკრულება. ჩვენ დეტალურად გავიარეთ მთლიანი ხელშეკრულება გარდა იმ ნაწილი-



სა, რომელიც გასაიდუმლოებულია. ამიტომ ამ გასაიდუმლოებული ნაწილის გასაჯაროების შემდეგ, რომელსაც ჩვენ მოვახდენთ, თბილისის საკრებულოს და საზოგადოების წინაშე სრულ ინფორმაციას წარმოვადგენთ. კონკრეტულად ამ კომპანიის შემოყვანასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებას ძალიან დიდი კითხვის ნიშნები აქვს“, – განაცხადა ნარმანიამ.

ნიუსპრესი

# „ბერიკაშვილის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაბრუნება საზოგადოების შეურაცხყოფაა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კულტურის მინისტრის მოადგილედ მანანა ბერიკაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. პარტიაში მიაჩნიათ, რომ ბერიკაშვილის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაბრუნება საწოგადოების შეურაცხყოფას წარმნოადგენს. „პირ-



ველი რადიო“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოთქვამს შეშფოთებას კულტურის მინისტრის მოადგილედ მანანა ბერიკაშვილის ხელახლა დანიშვნის გამო. ქალბატონმა მანანამ საზოგადოებას თავი 2012 წლის 30 სექტემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში გარდაცვლილი ჩვილი ბარბარე რაფალიანცის სიკვდილის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით დაამახსოვრა. ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილთან ერთად, იმ დროისთვის გურჯაანის რაიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა, ბერიკაშვილმა რაფალიანცის გარდაცვალება უაპელაციოდ დააბრალა პოლიტიკურ ოპონენტებს რათა მის პოლიტიკურ ძალასა და ბიძინა ივანიშვილს კონკრეტული პოლიტიკური სარგებელი მიეღოთ. არჩევნების შემდეგ, არაერთგზის გვესმოდა ღარიბაშვილის დაპირებები გამოძიების „პირად კონტროლზე“ აყვანის შესახებ. მოცემული საქმე, სხვა მრავალ საქმესთან ერთად – რომელსაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა და იყენებს და რომლებზეც ააგო კიდეც მთავრობამ საკუთარი საქმიანობის მთავარი ფოკუსი – კვლავაც გამოუძიებელია. მას შემდეგ რაც საზოგადოებისთვის ნათელი გახდა, რომ ბერიკაშვილის და ღარიბაშვილის ამაზრზენი ბრალდება იყო სრული სიცრუე, არც ქ-ნ ბერიკაშვილს და არც ბ-ნ ღარიბაშვილს საზოგადოების წინაშე ბოდიშიც კი არ მოუხდიათ.

ამდენად, მანანა ბერიკაშვილის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დაბრუნება წარმოადგენს მთლიანად საზოგადოების შეურაცხყოფას. ბერიკაშვილის დანიშვნა ასევე წარმოაჩენს ახლადდანიშნული კულტურის მინისტრის უმწეობას პასუხისმგებლობა გაქცეული ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის დიქტატის წინაშე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბერიკაშვილის დანიშვნა სწორედ ივანიშვილის ინიციატივაა. ეს ალბათ ლოგიკურიცაა რადგან 2012 წლის 30 სექტემბრის ღამეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ჩვილი ბავშვის გარდაცვალების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება ბიძინა ივანიშვილის მორალის და პოლიტიკური რენომეს რეალური ანარეკლია“ – ნათქვამია განცხადებაში.

პირველი რადიო

# დავით საგანელიძე: „საკონსტიტუციო კომისია მუშაობას შემოდგომიდან შეუდგება“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, არის კანონები, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლთან თანხვედრაში არაა და ეს საკანონმდებლო ბაზა გასწორებას საჭიროებს. ამის შესახებ საგანელიძემ პრემიერის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანამხადაც, კონსტიტუციის არსებულმა რედაქციამ შეიძლება კორექცია განიცადოს.



„არის კანონები, რომელიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლთან აბსოლუტურად არაა თანხვედრაში. სწორედ ამიტომ, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე წელს, შემოდგომიდან, საკონსტიტუციო კომისია მუშაობას დაიწყებს და არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს. მანამდე კი არის მუხლები, სადაც საჭიროა, ბალანსი, გასწორება და თანხვედრა“,-განაცხადა დავით საგანელიძემ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დღეს ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი გადახედვას საჭიროებს.

მისი თქმით, სწორედ ამისათვის შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დღეს არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს და კონკრეტული პოლიტიკური ძალისათვის მორგებულ დებულებებს გამორიცხავს. მთავრობის მეთაურის განცხადებითვე, ქვეყანას ბოლოს და ბოლოს ექნება კონსტიტუცია, რომელიც ფართო კონსენსუსის გზით იქნება მიღებული.

ნიუსპრესი

# ვანო მერაბიშვილმა ევროსასამართლოს მიმართა

ვანო მერაბიშვილმა ევროსასამართლოს უფლებების დაცვის თხოვნით მიმართა. ამის შესახებ მერაბიშვილის ადვოკატმა ოთარ კახიძემ განაცხადა.

მისი ინფორმაციითვე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ვანო მერაბიშვილის პატიმრობასთან დაკავშირებით განცხადება უკვე დარეგისტრირებულია.

„ევროპული სასამართლო ამ ეტაპზე პროკურატურის მასალების მიღებას ელოდება, რის შემდეგაც სტრასბურგის სასამართლო მხარეების მასალებს შეისწავლის. უახლოეს თვეებში ჩვენ გვექნება გარკვეული სიახლეები სტრასბურგიდან, ვინაიდან მთავრობასთან კომუნიკაცია უკვე დაწყებულია, მთავრობას განესაზღვრა ვადა 28 ივლისამდე, რომ წარმოედგინა მოსაზრებები. საქმე ეხება პატიმრობის შეფარდებას „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნისთვის“, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

მედიანიუსი

# აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი გადააყენეს

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ დეფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ



ხეცია თანამდებობიდან გაათავისუფლა, მის შემცვლელად კი, რაულ ლოლუას კანდიდატურა წარადგინა. ამის შესახებ „აპსნიპრესი“ იუწყება.

დეფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დიმიტრი შამბამ განაცხადა, რომ ვალერი ბგანბას მიზანია, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი წესრიგი და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. შამბას თქმით, მილიცია არ უნდა ერეოდეს პოლიტიკურ პროცესებში.

დეფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები 24 აგვისტოს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვალერი გელბახიანი: „პატარკაციშვილსა და სააკაშვილს ურთიერთობა ჟვანიას სიკვდილის შემდეგ გაუფუჭდათ“

## რატომ გააგზავნა შსს-მ ლონდონში თანამშრომლები

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი ხელისუფლებას იმ საქმის გამოძიებას სთხოვს, რომლის შესწავლაც „სკოტლანდ იარდმა“ 2006 წელს დაიწყო. ვინ გადააფიქრებინა სააკაშვილს ოპოზიციის ლიდერების დაკავება, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილის საქმის გამოძიება – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ვალერი გელბახიანი ესაუბრება.

**ვალერი გელბახიანი:**

– 7 წელია ველოდებოდი იმ დღეს, როცა ამ საქმის გამოძიება დაიწყებოდა. მე ვერ გეტყვით, რაში დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ ბადრი პატარკაციშვილის თემის წამოწევა. თუმცა ეს კარგი ფაქტია, ხალხი გაიგებს, რა მოხდა 2007 წელს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქმე სათანადოდ იქნება გამოძიებული. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამოიძიოს, როგორ გეგმავდა სააკაშვილის რეჟიმი პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. მათ რომ ბადრის მოკვლა უნდოდათ, ეს დადასტურებულია და ამ საქმეზე დიდი ბრიტანელი სამართალდამცავებიც მუშაობდნენ.

***– იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რას გულისხმობთ?***

– ნაციონალებმა ბევრჯერ ცადეს პატარკაციშვილის მოშორება. მისი ლიკვიდაციისთვის ისინი სხვადასხვა გეგმასა და სქემას ამუშავებდნენ. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლონდონში 4 თანამშრომელი მიავლინა. თუ არ ვცდები და, მგონია, რომ არ ვცდები, ეს ხალხი ერეკლე კოდუას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მათ დიდ ბრიტანეთში საქართველოს საკონსულომ დიპლომატიური სტატუსი მიანიჭა. სინამდვილეში ეს ხალხი პატარკაციშვილს უთვალთვალებდა. ადგენდნენ მისი გადაადგილების მარშრუტებს. ზეპირად იცოდნენ, სად და როდის მიდიოდა ბადრი. გაარკვიეს, როდის და სად სადილობდა თუ საუზმობდა. ეს ამბავი ბადრიმაც გაიგო.

***– საიდან გაიგო?***

– საბედნიეროდ, საქართველოს საელჩოში იყვნენ კეთილსინდისიერი ადამიანები. მათ ბადრის აცნობეს, რომ მასზე ხორციელდებოდა თვალთვალი.

***– როგორ მოიქცა პატარკაციშვილი, როცა ეს ინფორმაცია შეიტყო?***

– მან არ დააყოვნა და „სკოტლანდ იარდში“ შეიტანა განცხადება. მათ საქმის შესწავლა დაიწყეს.

***– რა ბედია ეწია იმ 4 კაცს?***

– გამოძიების დაწყების შესახებ, ბუნებრივია, საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამაც შეიტყო. მათ სასწრაფოდ შეატყობინეს სააკაშვილს. ამის შემდეგ სოდის 4 თანამშრომელი სასწრაფოდ გაიწვიეს თბილისში. ეს საქმე არ არის გამოძიებული. სამწუხაროა, რომ ამ საქმის გამოძიებას არც ეს ხელისუფლება არ აპირებს. პატარკაციშვილის სალიკვიდაციოდ ლამის ყოველთვე იგონებდნენ ახალ გეგმას.

***– იმ დროისთვის პატარკაციშვილს სააკაშვილთან ურთიერთობა უკვე გაფუჭებული ჰქონდა?***

– ამას გაფუჭებული ურთიერთობა არ ჰქვია. ის ნაციონალებთან სერიოზულად იყო დაპირისპირებული.

***– როდის და რატომ გაუფუჭდათ სააკაშვილსა და პატარკაციშვილს ურთიერთობა?***

– ეს 2005 წელს მოხდა. ამის მიზეზი ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცული გარდაცვალება გახლდათ. პატარკაციშვილი დარწმუნებული იყო, რომ ჟვანია მოკლეს. ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. ბადრი მის სიკვდილს ძალიან განიცდიდა. ეჭვი ჰქონდა, რომ ამაში ნაციონალების ხელი ერია. ის დარწმუნდა, რომ სააკაშვილი ყველა სავარაუდო მოწინააღმდეგეს ჩამოიშორებდა. მეტოქის ჩამოსაშორებელი საუკეთესო გზა კი მისი ლიკვიდაციაა. კარგად ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან მისი ჯერიც დადგებოდა. იცოდა, რომ აუცილებლად დაგეგმავდნენ მის ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე, ის თავდაცვითი მექანიზმების შემუშავებას ცდილობდა. ეს სააკაშვილისთვის ცნობილი იყო.

***– სააკაშვილმა განაცხადა, რომ პატარკაციშვილთან ბრძოლაში ვანო მერაბიშვილს ბიძინა ივანიშვილი ეხმარებოდა. ამაზე რას იტყვით?***

– ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ, რადგანაც ეს საკითხიც გამოსაძიებელია. ჯერ გამოვიძიოთ პატარკაციშვილის მკვლელობის დაგეგმვის ყველა დეტალი და მერე ვნახავთ, ვინ რას წარმოადგენდა. დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ სააკაშვილი და კოდუა იყვნენ ყველაზე საშიში მკვლელები. მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიისთვის ამ საკითხის გამოკვლევა აუცილებელია. უნდა იცოდეს მსოფლიომ, რომ არსებობდა ხელისუფლება, რომელიც თავად ეწეოდა ტერორისტულ საქმიანობას.

***– თქვენ თქვით, რომ „სკოტლანდ იარდმა“ ამ საქმის გამოძიება დაიწყო. მათ რატომ არ მიიყვანეს ეს საქმე ბოლომდე?***

– ვერ გეტყვით. ეტყობა, სააკაშვილი ჩაერია და რაღაც მექანიზმებით შეაჩერეს საქმე.

***– საქმეში იმ პიროვნებების ვინაობა, ალბათ, აუცილებლად იქნება ნახსენები.***

– რა თქმა უნდა. მათ ყველაფერი კარგად ჰქონდათ შესწავლილი.

***– თქვენ თუ იცით მათი ვინაობა?***

– არ ვიცი და, რომც ვიცოდე, ვერ დავასახელებ. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ამ დავალებას ერეკლე კოდუას დაქვემდებარებაში მყოფი პირები ასრულებდნენ.

***– ეს იცოდა პატარკაციშვილმა?***

– იცოდა.

***– აბა, რატომღა შეხვდა მას, რა მიზნით შეუშვა მტერი სახლში?***

– ამ კითხვას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. ხალხმა უნდა გაიგოს, რატომ გაიმართა ეს შეხვედრა. 7 წელია მიდის მტკიცება, რომ ბადრი კოდუას იმიტომ შეხვდა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. არ არის ეს ასე! არავის არ უნდა იმის ხმამაღლა თქმა, რომ ბადრი მასზე დაგეგმილი თავდასხმის დეტალებს იძიებდა. მას სურდა ტერორისტული აქტის დამკვეთების ვინაობის გარკვევა. იმ პერიოდში გამოქვეყნდა ჩანაწერი, თუ როგორ უკვეთავდა ერთი მაღალჩინოსანი საქართველოს ხელისუფლების სახელით პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. ის იმ ჩეჩენსაც შეხვდა, რომელსაც მის ლიკვიდაციას უკვეთავდნენ. კოდუასგან კი იმის გარკვევა სურდა, თუ ვინ დაუკვეთა უშუალოდ მისი ლიკვიდაცია. მას კოდუამ უთხრა, რომ ეს იყო ვინმე „მასტერა“, იგივე გია დგებუაძე. ეს იყო კარგად დაგეგმილი მკვლელობა, რომელიც მაინცდამაინც ლონდონში უნდა განხორციელებულიყო.

***– რატომ მაინცდამაინც ლონდონში?***

– იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ეჭვი არავის აელო. ვიმეორებ, ბადრი კოდუას შეხვდა იმისთვის, რომ გაერკვია, ვინ უკვეთავდა მის ლიკვიდაციას. ესენი კიდევ 7 წელია ამტკიცებენ, რომ მას თურმე სახელმწიფო გადატრიალება სურდა. ეს იყო ზღაპარი, როგორც ის, რომ კოდუას ტუფლის ქუსლში ჰქონდა დამაგრებული ჩამწერი მოწყობილობა. ეს არის ძალიან სასაცილო..

***– რატომ არის სასაცილო. არ შეიძლება, ქუსლზე მიმაგრებული ჩამწერით მოხდეს ჩაწერა?***

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ ეს ახსნა-განმარტებებია სასაცილო. ჩანაწერში არ ისმის, რომ პატარკაციშვილი 4 ადამიანის ლიკვიდაციას უკვეთავს. კოდუა ამტკიცებს, რომ ასეთი საუბარი იყო. შოთა უტიაშვილი ამტკიცებს, რომ ეს იმიტომ ვერ ჩაიწერა, ფეხზე იდგაო. თურმე, ჩაწერა რომ მომხდარიყო, ქუსლი უნდა ყოფილიყო ჰაერში. აბა, კარგად ვნახოთ, რა წერია საქმის მასალებში. სტენოგრამიდან ირკვევა, რომ საუბრის დასრულების შემდეგ ადგნენ და გავიდნენ. ისმის ფეხსაცმლის ხმა, რომელიც ცოტა ხანში იკარგება. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ჩაწერა სულ სხვა ადგილიდან ხდება. იტყუება კოდუა, როცა ამბობს, რომ აივანზე გავიდნენ და ამიტომ არ ისმოდა, როგორ დაუკვეთა ბადრიმ 4 კაცის, მათ შორის გოგა ხაინდრავას მკვლელობა. არავითარი აივანი პირველ სართულზე ბადრი პატარკაციშვილის სახლს არ აქვს. ვინც ნამყოფია ლონდონში პატარკაციშვილის სახლში, ეს ყველამ იცის. ტყუილს ამბობს კოდუა, როდესაც ამბობს, რომ ისინი აივანზე გავიდნენ და იმიტომ არ ისმის ხმა. ასეთი აივანი არ არსებობს, აივანი აქვს ვილას მეორე და მესამე სართულზე, შეხვედრა კი შედგა პირველ სართულზე. მეორე ტყუილი არის ის, რომ მას არანაირი ჩამწერი არ ჰქონია ფეხსაცმელში. ჩანაწერი გააკეთა ბადრი პატარკაციშვილმა, მესამე ტყუილი კი არის ის, რომ ხაინდრავას შესახებ პროკურატურის მასალებში არაფერი არ არის ნათქვამი.

***– ამ 4 პირის ლიკვიდაციაზე რას ფიქრობთ? თუ ასეთი დავალება მართლაც იყო, რატომ დუმდნენ?***

– ეს არის სისულელე. ამას მხოლოდ იმიტომ ამბობენ, რომ პოზიციები გაიმყარონ. ამათ უნამუსობას საზღვარი არ ჰქონია. ჯერ იყო და სალსალამათი კაცი გაისტუმრეს საიქიოში და ახლა გარდაცვლილს აბრალებენ საშინელებას. დაკვეთილი მკვლელობები თავისკენ მოიკითხონ. პატარკაციშვილი და კოდუა იმ დღეს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. სად გაგონილა, რომ კაცი პირველად ნახო და იმას ვიღაცის მკვლელობა დაავალო, თანაც ეს კაცი არის პოლიციის გენერალი და იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც შენზე ნადირობს. გამოძიებამ პირველ რიგში ის უნდა გაარკვიოს, როგორ იგეგმებოდა ბადრის მკვლელობა და მერე ყველაფერი სწორი მიმართულებით წავა.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, გამოძიება წავა სწორი მიმართულებით ან საქმე იქნება ბოლომდე მიყვანილი?***

– ამას დრო გვაჩვენებს. წინასწარ რაღაცების თქმა არ მინდა, მაგრამ დიდი იმედი არა მაქვს. გამოძიებული არ არის, თუ რატომ აღიძრა პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2007 წლის 2 ნოემბერს. მას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დააბრალეს. სად გაგონილა ასეთი რამე, კაცი მიტინგზე სიტყვით გამოვიდა და განცხადებები გააკეთა. არც იმას არ იძიებენ, თუ რატომ აღიძრა 7 ნოემბერს 5 პოლიტიკური პარტიის ლიდერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე. ამ 5 კაცზე იმიტომ აღძრეს საქმე, რომ ბადრისთვის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა დაებრალებინათ.



ვალერი გელბახიანი დაკითხვას ითხოვს

***– საქმე კი აღძრეს, მაგრამ ბოლომდე არ მიუყვანიათ.***

– მიიყვანდნენ, მაგრამ გაჩერდნენ, უფრო სწორად, გააჩერეს.

***– ვინ გააჩერა?***

– ამერიკელებმა. მათ პირდაპირ უთხრეს, სისულელეებს მორჩით და პოლიტიკურ ლიდერებს შეეშვითო. ამათაც სქემა შეცვალეს. მერე გოგა ხაინდრავას დაკავება იგეგმებოდა. მისთვის ბრალად უნდა დაედოთ, რომ თითქოს ყოფილ სამხედროებს ნახევარი მილიონი აშშ დოლარი გადასცა. ამ ფულით ამ ხალხმა შეიძინა დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა. იტყოდნენ, რომ ეს იარაღი სამხედრო გადატრიალების მოწყობისთვის უნდოდათ. ეს საქმე მომზადებული იყო, დიდი ხმაურიც ატყდებოდა. მზად ჰყავდათ ხალხი, რომლებიც იტყოდნენ, რომ ხაინდრავასგან ასეთი დავალება მიიღეს. ამ ხალხს სპეციალურად წვრთნიდნენ და კარგი სპექტაკლიც დაიდგმებოდა. ჩვენ მათ დავასწარით და ეს ამბავი გავახმაურეთ.

***– თქვენ საიდან შეიტყვეთ ეს ინფორმაცია?***

– საბედნიეროდ, კიდევ იყვნენ წესიერი ადამიანები. მათ გვაცნობეს ამ გეგმის შესახებ. ის ადამიანი, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა და ჩვენებაც მოგვცა, წელიწად-ნახევარში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ხელისუფლებამ ეს ფაქტიც უნდა გამოიძიოს. 5 დღის მანძილზე ჩემს სახლთან იდგა თეთრი ფერის მიკროავტობუსი. ეს მიკროავტობუსი იარაღით იყო გაძეძგილი. ელოდებოდნენ სახლიდან ჩემს გამოსვლას, რომ პროვოკაცია მოეწყოთ.

***– რა პროვოკაცია?***

– მანქანის მძღოლი უნდა მოსულიყო და ეთქვა, რომ ჩემთან რაღაც გამოატანეს და მენახა. მეც, ალბათ, შევიხედავდი, რა იყო. როგორც კი კარს გავხსნიდი, თავს დამესხმებოდა ჩასაფრებული ხალხი. დამაფიქსირებდნენ იარაღით სავსე მანქანასთან და მერე მთელ სამყაროს აჩვენებდნენ, თუ რას „გადაურჩა“ საქართველო. მე ვიცოდი ამის შესახებ და ის დღეები სახლში არ მივსულვარ. ღამეებს „არკადიაში“ ვათენებდი, სადაც ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი იყო განთავსებული.

***– ეს რა პერიოდია?***

– 2007 წლის 14-20 დეკემბერს ხდებოდა ასეთი რამეები. იმავე პერიოდში იგეგმებოდა „არკადიაში“ შემოჭრაც.

***– რატომ უნდა შემოჭრილიყვნენ?***

– შემოვივიდებოდნენ და სარდაფებში დააწყობდნენ ავტომატებს. ამას სასწრაფოდ გადაიღებდნენ და იტყოდნენ, რომ პატარკაციშვილის შტაბი გადატრიალებისთვის ემზადებოდა. ამ ინფორმაციის დადასტურება საარჩევნო შტაბის ყველა წევრს შეუძლია. ყოველ დილით, როგორც კი ვაღებდით კარს, კამერებს ვრთავდით და ყველაფერს ვიწერდით როგორც „არკადიაში“, ასევე მის სარდაფებში. სარდაფები ისე გამოვაცარიელეთ, რომ ერთი ქაღალდიც არ დავტოვეთ იქ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, ვინმეს რამე არ დაედო. იმ დღეებში ჩვენი შტაბის წინ გამუდმებით იდგა 2 მანქანა. ერთი იყო დამტვრეული და მეორე – ფურგონის ტიპის. ორივე ავტომობილში იყო მოსასმენი აპარატურები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ჩვენი მოსმენა. ჩვენ ძალიან ვფრთხილობდით. ერთ-ერთმა ოპერატიულმა მუშაკმა მომიტანა ინფორმაცია, რომ ჩემი ლიკვიდაცია იგეგმებოდა. იმ ადამიანმა მითხრა, არავითარ შემთხვევაში არ იარო გვირაბის გავლითო. მე გლდანში ვცხოვრობ და „არკადიაში“ სანაპიროს გვირაბის გავლით მივდიოდი.

***– გვირაბის გავლით რატომ არ უნდა გევლოთ?***

– როგორც იმ კაცმა მითხრა, იქ უნდა მომხდარიყო ჩემი ლიკვიდაცია. დეტალები ვკითხე. მითხრა, გვირაბში „სამასვალი“ გაჩერდება, გადაგიღობავენ გზას, უკნიდან მანქანა დაგარტყამსო. მან თარიღიც დამისახელა. არ დავიჯერე, მაგრამ დაინტერესებული ვიყავი. იმ კონკრეტულ დღეს მძღოლს ვუთხარი, აბა, ერთი გვირაბში გაიარე, რა ხდება-თქო. ის გვირაბში ღამის 3 საათზე წავიდა. როცა დაბრუნდა ჩემი მძღოლი მითხრა, გვირაბში „სამასვალი“ იდგაო. უამრავი გეგმა ჰქონდა ნაციონალებს შემუშავებული. „ქართულ ოცნებას“ თუ მართლა უნდა სიმართლის დადგენა ყველაფერი უნდა შეისწავლოს.

***– თქვენ არ გჯერათ, რომ ხელისუფლებას მართლა უნდა სიმართლის დადგენა?***

– უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს. იმედია, ვცდები.

***– ამ საქმეზე არ მომხდარა თქვენი დაკითხვა?***

– არა. მე სხვა რაღაცებს მაბრალებენ და არ ინტერესდებიან იმით, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით ვიცი. არადა, თუ სიმართლის დადგენა უნდათ, მეც უნდა დამკითხონ.

## პეტრე მამრაძე: „პატარკაციშვილმა ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, მის სამივე შვილს თითო-თითო მილიონი გადაურიცხა“

ბადრი პატარკაციშვილმა პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემდეგ, ზურაბ ჟვანიას სამივე შვილს თითო-თითო მილიონი გადაურიცხა“, – ამის შესახებ „მართვის სტატეგიული ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარემ პეტრე მამრაძემ გაზეთ „ქრონიკასთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.

როგორც პეტრე მამრაძემ აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს ბადრი პატარკაციშვილთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

„მიხეილ სააკაშვილს ბადრი პატარკაციშვილთან ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მასთან ჟვანიას, ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ და შემდგომ პერიოდში. ბადრი პატარკაციშვილიც აფინანსებდა „ვარდების რევოლუციას“, მე რასაც ვაკვირდებოდი, პატარკაციშვილის ქველმოქმედება შემოიფარგლებოდა იმით, რომ ითხოვდა, დიდძალი ქონება მისთვის გადაეცათ, სიტყვაზე, თუ 100 მილიონის ქონებას გადასცემდნენ, დახარჯავდა 1 მილიონს დახმარების სახით – „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულ ლიდერებზე. ბადრი პატარკაციშვილი არ იყო ივანიშვილი, რომელიც დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა. ის ჯერ ითხოვდა ყველაფერს თავისთვის და მერე მიღებული დივიდენდების მცირე ნაწილს ხარჯავდა“, – განაცხადა მამრაძემ.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩებს ინვესტიციების მოზიდვაში დახმარება სთხოვა

ნათია ხურცილავა

10-წლიანი ტრადიცია კვლავ ძალაშია. საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატიურ კორპუსს სამშობლოში იწვევს და ელჩებს ახალ დავალებებს აძლევს.

„ამბასადორიალი 2014“-ზე მთავარი სამუშაო ნატოს უელსის სამიტია. ოთხდღიან ამბასადორიალზე უცხოეთში აკრედიტებულმა დიპლომატებმა პრემიერ-მინისტრისგან, პრეზიდენტისგან და თავად საგარეო უწყების ხელმძღვანელებისგან დავალებები მიიღეს.

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და სტრატეგიული მიზნები უცვლელი რჩება და ხელისუფლების ძირითადი ორიენტირი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა.

მინისტრმა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობების ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა.

**მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:**

– ევროინტეგრაცია გახდა ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტიც. მივიღეთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც წარმოადგენს ერთობლივად შეთანხმებული პრიორიტეტების ნუსხას 2014-2016 წლებისთვის და მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის, იმპლემენტაციის ხელშეწყობას. შევასრულეთ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი, საკანონმდებლო ფაზით გათვალისწინებული მოთხოვნები და დავიწყეთ მეორე, საიმპლემენტაციო ფაზის ღონისძიებები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო უპრეცედენტო შეხვედრა ევროკომისართა კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის, ასევე, ევროპარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს მხარდამჭერი 8 რეზოლუცია. ევროპული ღირებულებებისადმი ჩვენს ერთგულებას ადასტურებს, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში მივუერთდით ევროკავშირის 215 განცხადებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

წლის განმავლობაში დინამიკურად ვითარდებოდა ურთიერთობები ნატოსთან, მათ შორის, სამხედრო და თავდაცვით სფეროებში. უელსის სამიტისათვის საქართველოს საკითხის სათანადოდ მოსამზადებლად შევქმენით უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც აქტიურ კონსულტაციებს მართავდა ნატოს წევრი ქვეყნების დედაქალაქებში. იმედი გვაქვს, რომ უელსის სამიტზე ადეკვატურად შეფასდება ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიღწეული პროგრესი.

საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ვითარდებოდა ურთიერთობები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მისასალმებელია ბოლო პერიოდში კონგრესის მიერ ინიცირებული საქართველოს მხარდამჭერი ორი რეზოლუცია, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამერიკის კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოსადმი.



საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთთან ურთიერთობასაც შეეხო და განაცხადა, რომ ურთიერთობებში პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, რუსეთი უკანონო ქმედებებს კვლავ აგრძელებს.

– რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ეტაპობრივი ნორმალიზაციისთვის საქართველომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები რჩება რუსეთთან ურთიერთობების უმთავრეს ფორმატად. ამასთან, გრძელდება არაფორმალური პირდაპირი დიალოგი საქართველოსა და რუსეთის სპეციალურ წარმომადგენლებს შორის. საქართველოს პრაგმატული მიდგომის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეული პოზიტიური დინამიკის მიღწევა რუსეთთან ეკონომიკისა და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. თუმცა რუსეთი კვლავ აგრძელებს უკანონო ქმედებებს, განაგრძობს მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების განთავსებას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზეც კი. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ადეკვატურ პასუხად იმ პოზიტიურ ნაბიჯებზე, რომლებიც საქართველომ გადადგა ბოლო პერიოდში.

რაც შეეხება რუსეთის ბოლო გადაწყვეტილებას ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეჩერებაზე, ეს არ ნიშნავს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის



აკრძალვას. შედეგად შეიცვლება მხოლოდ საბაჟო ტარიფები, რაც გავლენას იქონიებს სავაჭრო მაჩვენებლებზე, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

* * *

ამბასადორიალზე ელჩებს სიტყვით მიმართა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც ელჩებს მთავარი დავალება მისცა – უცხოური ბიზნესის მოზიდვა.

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა შესაბამისი ბიზნესგარემო იქნეს უზრუნველყოფილი.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– ეკონომიკურად განვითარებული, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული, ევროპული ტიპის დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა არის არსებული გამოწვევებისადმი ჩვენი პასუხი. განსაკუთრებით უნდა გამოვყო ეკონომიკური დიპლომატიის როლი ჩვენ მიერ დასახული პრიორიტეტების განხორციელების საქმეში. მინდა ხაზი გავუსვა ამ მხრივ თქვენი ძალისხმევის მნიშვნელობას და მოგიწოდოთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, რომ მაქსიმალურად გაააქტიუროთ საქმიანობა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ხოლო ჩვენ ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ბიზნესგარემო.

პრემიერი ამბობს, რომ ხელისუფლების მიზანია ისეთი ქვეყნის აშენება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქალაქის უფლებების დაცვა.

– ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სახელმწიფოში ცხოვრება მიმზიდველი გავხადოთ. ეს არის ჩვენი საზრუნავი და, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი ერთად ამ ყველაფერს შევძლებთ, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკასა და პრიორიტეტებს, პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული მიმართულებებით დიდი მიღწევები აქვს.

– ჩემთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისთვის, საამაყო და სასიხარულოა, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებში მიღწეულმა წარმატებებმა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პოზიციები გაამყარა და დღეს უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი მიღწევები აქვს საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული მიმართულებებით, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, იმ მთავარ და უდიდეს წარმატებას შორის, რომელსაც საგარეო ასპარეზზე საქართველომ მიაღწია, არის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. მას ირაკლი ღარიბაშვილმა ისტორიული დოკუმენტი უწოდა.

– ეს არის ასოცირების შეთანხმების ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერა ევროკავშირთან, რომელსაც თვისებრივად უფრო მაღალ, სრულიად ახალ ეტაპზე გადაჰყავს ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა და უპრეცედენტოდ აახლოებს ჩვენს სამშობლოს ჩვენთვის ახლობელ და ბუნებრივ გარემოს – ევროპას. ამ შეთანხმების ხელმოწერით ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ყველა თაობის ქართველთა ისტორიული ოცნება ახდა. ჩვენი ხალხის ისტორიული არჩევანი დღეს რეალობად იქცა. მინდა ვისარგებლო დღევანდელი შეხვედრით და პირადად თქვენ, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს უცხოეთში, მთელ ჩვენს დიპლომატიურ კორპუსს მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა და კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თავდაუზოგავი შრომისა და ძალისხმევისათვის, რომელიც ამ დიდი საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის გასწიეთ, – აცხადებს ღარიბაშვილი.

პრემიერმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე გაამახვილა ყურადღება.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ მაქსიმალურად ასახულიყო საქართველოს მიერ მიღწეული



პროგრესი მოახლოებულ ნატოს სამიტზე. მესმის, რომ გარკვეული ქვეყნების მხრიდან არ იყო ერთობა და ერთსულოვნება ამ პოზიციაზე, მაგრამ ჩვენი მხრიდან ძალისხმევა არ დაგვიკლია, რომ მაქსიმალური შედეგი წამოგველო, მე მჯერა, რომ ამას მივაღწევთ. ჩვენი ურთიერთობა ნატოსთან მხოლოდ ინსტიტუციონალური თანამშრომლობით არ შემოიფარგლება. ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ავღანეთის აისაფის მისიაში და ვაპირებთ ნატოსთან თანამშრომლობის გაგრძელებას ავღანეთში აისაფის მისიის დასრულების შემდეგაც.

2015 წლიდან ვგეგმავთ მონაწილეობას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში. საქართველოს ნატოსთან ინტენსიური თანამშრომლობის გათვალისწინებით, ოპტიმისტური მოლოდინი გვაქვს უელსში დაგეგმილი სამიტის შედეგებთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რომ გაიზრდება ქართული მხარის ნატოსთან თანამშრომლობის ხარისხი და სამიტის ფარგლებში ადეკვატურად იქნება ასახული საქართველოს პროგრესი.

პრემიერმა არაღიარების პოლიტიკის მიღწევებზეც ისაუბრა. ის ამბობს, რომ ხელისუფლებამ მიაღწია გარკვეულ შედეგებს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკასთან მიმართებით.

* * *

დიპლომატიურ კორპუსს პრეზიდენტმაც მიმართა. გიორგი მარგველაშვილმა უსაფრთხოების თვალსაზრისით რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

ქვეყნის მთავარსარდალმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების საქმეში საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, რომ მას ურთიერთობის მშვიდობიან, კონსტრუქციულ კონტექსტში გადატანა სურს.

**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

– სამწუხაროდ, ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი რეგიონის და არა მხოლოდ მისი, არამედ გლობალურად, მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემები მნიშვნელოვანწილად შეირყა და გამოცდის წინაშე დადგა. ჩვენ ვიაზრებთ ამ და იმ პროცესს, რომელიც 2014 წელს უკრაინაში მოხდა, როგორც უშუალო გაგრძელებას 2008 წლის მოვლენებისა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პოზიცია და მესიჯი ჩვენმა პარტნიორებმა იცოდნენ, რომ ის პროცესი, რომელიც 2008 წელს დაიწყო, რეალურად 2014 წელსაც გრძელდება. ასევე ის, რომ საქართველო ერთმნიშვნელოვნად მიმართულია ამ პროცესების სტაბილიზაციის, დალაგებისა და მშვიდობის ჭრილში გადაყვანისკენ. ამ მხრივ ხაზგასასმელია ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. რუსეთთან ურთიერთობა არ არის მხოლოდ ქართულ-რუსული ურთიერთობები, არამედ ამ ურთიერთობაზე მიმდინარეობს საუბარი ყველა ქვეყანასთან, ვისთანაც ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენი ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა მშვიდობიან, კონსტრუქციულ კონტექსტში გადაიტანოს.

ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ რეალურად შეიცვალოს პრივილეგირებული სფეროების პარადიგმა და ურთიერთობა ეკონომიკური, რეგიონული თანამშრომლობის ჭრილში გადავიდეს. ეს პოზიცია აქტიურად უნდა გავაცნოთ ჩვენს პარტნიორებს და, აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი ბევრად უფრო მეტად ჩართვა ჩვენ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებაში. ჩვენმა ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში აჩვენა, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა, მაგრამ ამ ურთიერთობის ამოსავალი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღიარებაა.

ნატოსა და ევროკავშირის მისიებში აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, საქართველო ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს იმ უსაფრთხოების სისტემებით, რომლებიც ევროპაში მუშაობს. არაღიარების პოლიტიკის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის თვალსაზრისით ჩვენი ტრადიციული მუშაობა, ბუნებრივია, მუდმივ ყურადღებასა და მუშაობას მოითხოვს. ჩვენმა პარტნიორებმა უნდა იცოდნენ, რომ არაღიარების პოლიტიკით ჩვენ არ ვახორციელებთ რაიმე სახის იზოლაციას, არამედ ვზრუნავთ, ვდარდობთ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით ყველა ჰუმანიტარული პროექტი, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია და საშუალებას გვაძლევენ, ჩავერთოთ, მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია მუდმივი თვალყურის დევნება იმ პროცესების მიმართ, რომლებიც ხელოვნური საზღვრების გავლებასთანაა დაკავშირებული და ამ თვალსაზრისით ჩვენი პარტნიორების მაქსიმალური და აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია.

# კონსტიტუციას ისევ ცვლიან

ნათია ხურცილავა

კვლავ აქტუალურია კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი. ამჯერად კონსტიტუციის გადასინჯვის მთავარი ამოცანა ბალანსის აღდგენა იქნება სახელმწიფო შტოებს შორის. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მოქმედ საკონსტიტუციო რედაქციაში ხარვეზები არსებობს და საჭიროა მისი გადასინჯვა.

არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიკვეცოს. უკვე შექმნილია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, რომელმაც სექტემბრისთვის უნდა დადოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მონახაზი.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბალანსის აღდგენას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის და გააძლიერა პარლამენტის უფლებამოსილებები, თუმცა ბოლო დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი გადახედვას საჭიროებს, სწორედ ამ მიზნით ჩვენ შევქმენით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დღეს არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს და გამორიცხავს ნებისმიერ კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის მორგებულ დებულებებს.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე ისაუბრა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. თუმცა, ჯერჯერობით პრეზიდენტისთვის უცნობია, რა ცვლილებები განხორციელდება კონსტიტუციაში და საბოლოოდ რა სახეს მიიღებს მოქმედი კონსტიტუცია.

– მე შემიძლია მოგახსენოთ საკონსტიტუციო კომისიის თაობაზე, რომელიც მუშაობს კონსტიტუციის მუხლების დახვეწაზე. ეს მუშაობა დაიწყო წლის დასაწყისიდან. მას სათავეში უდგას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და იქ მიმდინარეობს მსჯელობა სხვადასხვა მუხლებისა და პუნქტების დახვეწაზე. ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები ცვლილებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არარსებული გადაწყვეტილების თაობაზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

# გიორგი მარგველაშვილი: „მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნა არ არის!“

ნათია ხურცილავა

ახალი ხელისუფლებისთვის გამოწვევაა მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენა და შემდეგ დამტკიცება, ასევე ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი. ამ საკითხებზე პრემიერმა ღარიბაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

– საჭიროა, დაველოდოთ გამოძიების საბოლოო შედეგებს და სასამართლომ დაადგინოს ამა თუ იმ პირის დანაშაული. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ გამჭვირვალობასა და გახსნილობას, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების ნაწილის შეშფოთებას სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენის თემასთან დაკავშირებით, პრემიერმა განაცხადა, რომ ვერც ერთ ქვეყანასთან საქართველოს ურთიერთობას ყოფილი პრეზიდენტი ვერ გადაწონის.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული თემა გავლენას ვერ მოახდენს საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობაზე.

– სპეკულაციები იმაზე, რომ თითქოს ყოფილი პრეზიდენტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო, სრული აბსურდია. ვერც ერთ ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობას ვერ გადაწონის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ბრალდებულია ძალიან მძიმე დანაშაულებში, – ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი.

**გიორგი მარგველაშვილი კი ამბობს:**

– უმნიშვნელოვანესია, რომ ყველამ ჩავაბაროთ გამოცდა და საერთაშორისო საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ დევნასთან. მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი მოქალაქის, ყველა სახელმწიფო მოღვაწის პოზიცია, რომ არაფრის დიდებით არ განხორციელდეს არანაირი პოლიტიკური დევნა. მე ვიქნები ჩართული ამ პროცესებში და მუდმივად შევეცდები, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით გავაკეთო ის, რომ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ყოფნის მიღწევებზე არ იქნეს ჩრდილი მიყენებული.

# სასჯელაღსრულების სისტემისთვის ოფიცრებს საგანგებოდ მოამზადებენ

შორენა გონგლაძე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა უპრეცედენტო, ექვსთვიანი სასწავლო პროგრამა დაიწყო, რომლის მიზანი სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის, კვალიფიციური რეჟიმის ოფიცრის მომზადებაა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ცნობით, პროგრამა, რომელიც ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში", მხარდაჭერით განხორციელდება, ევროპული ციხის წესების ერთ-ერთი ავტორის, ჟერარ დე იონგის ჩართულობით შემუშავდა. აღნიშნული ფორმატის გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა, საქართველოს სასჯელაღსრულების სიტემის პრაქტიკაში, პირველად ხორციელდება.

სასწავლო კურსი, როგორც სწავლის ხანგრძლივობით, ისე სპეციფიკით, არსებითად განსხვავდება არსებული პრაქტიკისაგან: ხუთსაფეხურიანი კურსის მონაწილეები ეტაპობრივად გაივლიან თეორიულ მომზადებას სასწავლო ცენტრში, ხოლო სასწავლო პრაქტიკას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ყოველი შემდგომი თეორიული ეტაპი დაიწყება გავლილი კურსისა და პრაქტიკული ეტაპის ანალიზით. დასკვნით ეტაპზე, სასწავლო ცენტრში, მონაწილეები წინასაგამოცდო კონსულტაციას მიიღებენ, რის შემდეგაც, მათ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემოწმების მიზნით, დასკვნითი გამოცდა ჩაუტარდებათ.

როგორც სასწავლო ცენტრში აცხადებენ, სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან სასჯელაღსრულების დაწესებულების ის თანამშრომლები, რომლებიც გადამზადებული იქნენ მენტორებად. მენტორები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სწავლების პრაქტიკულ ნაწილს წარუძღვებიან. სასწავლო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულს მისცეს სათანადო თეორიული ცოდნა და გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები, რომელიც მას ესაჭიროება პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისათვის. სასჯელაღსრულების სისტემის პრაქტიკაში პირველი გრძელვადიანი საპილოტე პროგრამის პრეზენტაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელი პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მინისტრის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საზოგადოებას დღემდე არ ჰქონდა წარმოდგენა ვინ იყვნენ სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლები, რა კვალიფიკაციის ადამიანები იყვნენ, და ვის ებარა პატიმრის ბედი და უსაფრთხოება. მისი თქმით, სწორედ ამიტომ ყველა თანამშრომელი გაივლის აღნიშნულ კურსს და სათანადო კვალიფიკაციას მიიღებს.



– მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების სისტემა და მისი თანამშრომლები მუდმივი კრიტიკის საგანი იყო 2012 წლამდე, არავის უცდია მოეგვარებინა ყველაზე მთავარი პრობლემა – კადრები და მათი კვალიფიკაცია. დღემდე, არც ერთმა მოქალაქემ საქართველოში არ იცოდა, ვის ებარა პატიმრების უსაფრთხოება და ბედი. ამ კითხვებს დღეიდან გაეცემა მკაფიო პასუხი: სასჯელაღსრულების სამინისტრო საკუთარ სასწავლო ცენტრში იწყებს სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების პროგრამას, რომელიც ევროკავშირის და ევროსაბჭოს მხარდაჭერით შემუშავდა. პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად ყველა თანამშრომელი გაივლის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას და ჩააბარებს უმკაცრეს გამოცდას. ყველა კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომ იმუშაოს ამ სისტემაში ეფექტურად და ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში უზრუნველყოს დისციპლინა და უსაფრთხოება. ეს პროგრამა გახდება სტანდარტი ახალი თანამშრომლების შერჩევის და მომზადების პროცესში – არჩილ თალაკვაძემ.

ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილის, შტეფან შტორკის შეფასებით, აღნიშნული ტრენინგ-კურსი იქნება განმსაზღვრელი ახალი სტანდარტების დანერგვისა, ხოლო მიღებული გამოცდილება, გავრცელდება მთელ სისტემაზე. ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, რომლებიც გაივლიან ექვსთვიან კურსს, იქნებიან პიონერები, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებში.

დღეისთვის სწავლას სამართლებრივი რეჟიმის 25 ოფიცერი შეუდგება, სასწავლო პროგრამას ეტაპობრივად, სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის ყველა თანამშრომელი გაივლის.

## საბაჟოებზე ნარკოტიკები ამოიღეს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის" ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა საქართველოს მოქალაქე ბ.ი., რომლის ავტომობილის დათვალიერებისას შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 260 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი თრამადოლ/პარაცეტაოლ აღმოაჩინეს. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს საპატრულო პოლიციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს.

მებაჟე ოფიცრებმა, ასევე სგპ „სარფში", 3 აგვისტოს, 4,66 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოაჩინეს თურქეთის მხრიდან შემოსული თურქეთის მოქალაქე ბ.ა.-ის ავტომანქანაში. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს.

იმავე დღეს, სგპ „ვალეს" ტერიტორიაზე, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტის შემოტანა სცადა საფრანგეთის მოქალაქე ჰ.გ.-მ. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს.

მედიანიუსი

## პოლიციამ სპეციალური სათბურებიდან 5,3 ტონა კანაფი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი



ლი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანის და კულტივირების ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული ვუგარ ა. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ უზუნთალაში, სპეციალურად მოწყობილ სათბურებში ნარკოტიკული საშუალება კანაფი უკანონოდ მოჰყავდა და მის კულტივირებას ახდენდა. სამართალდამცველებმა დაკავებულის საკარმიდამო



ნაკვეთის ჩხრეკისას 5 ტონა და 287 კგ კანაფი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანის და კულტივირების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა" გელა ჩივიაშვილის წარსული საქმიანობის შესწავლას ითხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" განცხადებით, თბილისის მერიაში სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტზე დამტკიცებამდე, თბილისის საკრებულომ, გელა ჩივიაშვილის წარსული საქმიანობა ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" ინფორმაციით, გელა ჩივიაშვილი უკანასკნელ პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი იყო და იგი 2011 წლის თებერვალში სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად სახელმწიფო დაზღვევისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მითვისების ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით, სადაზღვევო კომპანიების მიერ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღებული ვალდებულებების უგულებელყოფით და მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, სოციალურად დაუცველი პირებისთვის განკუთვნილი სადაზღვევო პოლისები არ დაარიგეს, რის შედეგადაც, მიითვისეს 5,700,000 ლარზე მეტი სადაზღვევო პროგრამისათვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხა.

მართალია სასამართლო პროცესზე დაკავებულთაგან რამდენიმე, მათ შორის გელა ჩივიაშვილი დანაშაულს არ აღიარებდა , იგი მალევე, აპრილის თვეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ სხვა დაკავებულ მაღალჩინოსნებთან ერთად, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით 10 ათასი ლარის გადახდის შედეგდ გაათავისუფლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან ბრალი აღიარა",-აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში".

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, სახელმწიფო სტრუქტურებში, თანამდებობის პირთა დანიშვნამდე წარსულში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ კითხვის ნიშნები არ უნდა არსებობდეს.

ორგანიზაცია თბილისის საკრებულოს მოუწოდებს გელა ჩივიაშვილის წარსული საქმიანობა მისი თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დამტკიცებამდე ზედმიწევნით შეისწავლოს.

„ვფიქრობთ, რომ წარსულში კორუფციული დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი არ უნდა დაინიშნოს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. საქმის გარემოებებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება თვით კანდიდატის პოზიცია", – ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

## რადიოაქტიური ნივთიერების შემოტანის ფაქტზე პოლიციამ სომხეთის მოქალაქეები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების და კონტრდაზვერვის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველო-სომხეთის სახელ-




მწიფო საზღვრის გამშვებ პუნქტ „სადახლო"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, საბაჟო საზღვარზე, რადიაქტიური ნივთიერების წესის დარღვევით გადმოტანის და რადიაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის ბრალდებით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1965 წელს დაბადებული სამველ ვ. და 1966 წელს დაბადებული ჰარუთუნ ჰ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა მათგან რადიაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ 137"-ის შემცველი, ქარხნული წესით დამზადებული კონტეინერი ამოიღეს.

გამოძიება საბაჟო საზღვარზე რადიაქტიური ნივთიერების წესის დარღვევით გადმოტანის და რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განმეორებითი დანაშაულის 245-მდე შემთხვევა დაფიქსირდა

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს გიორგი მღებრიშვილს და მასმედიის წარმომადგენლებს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შედეგები წარუდგინა და სამომავლო სტრატეგია გააცნო.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის გიორგი არსოშვილის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უწყებაში მიმდინარე რეფორმებს დაეთმო. კერძოდ, ახალი სტრუქტურული ერთეულის – სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს – შექმნას, რომელიც გეგმავს და კოორდინაციას უწევს პრობაციის სისტემაში ფსიქო-სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას.

არსოშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები 328-მა პრობაციონერმა გაიარა, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები – 187-მა, საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში 1169 პირობით მსჯავრდებული ჩაერთო, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით კი 6 თვეში 67 პრობაციონერი დასაქმდა.

საანგარიშო პერიოდში, პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ პირობითი მსჯავრი 123 პრობაციონერს მოუხსნა, ხოლო უფლებები 21 პირს აღუდგინა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, მიმდინარე წელს თვალშისაცემია პირობით მსჯავრდებულთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საგრძნობი კლება: მიმდინარე წლის I ნახევარში განმეორებითი დანაშაულის 245-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ, როცა 2012 წლის პირველ 6 თვეში, განმეორებითი დანაშაული 575-მა პრობაციონერმა, ხოლო 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში – 442 პირობით მსჯავრდებულმა ჩაიდინა.

ნიუსპრესი

## თეა წულუკიანი: „დღეს სააკაშვილი ერთი რიგითი ბრალდებულია"



საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს რიგითი ბრალდებულია და ის ვალდებულია სასამართლოს წინაშე წარსდგეს.

წულუკიანმა ეს განცხადება სააკაშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებების საკითხის კომენტირებისას გააკეთა და აღნიშნა, რომ ექსპრეზიდენტის გამომძიებელთან მისაყვანად შესაძლოა, კანონით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი გამოიყენონ.

„როდესაც ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული, როდესაც მასთან მიმართებაში სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა მიღებული, ამ შემთხვევაში ამ ადამიანს გარკვეული ვალდებულება აქვს, საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოს წინაშე წარდგეს. აქ შეიძლება გამოყენებული იყოს ყველა ის კანონით დართული მექანიზმი, რაც ამ ადამიანს გამომძიებლამდე მიიყვანს. მნიშვნელობა არ აქვს ის გვარად სააკაშვილი იქნება თუ სხვა ვინმე, რადგან დღეს სააკაშვილი ერთი რიგითი ბრალდებულია",-განაცხადა თეა წულიკიანმა.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ელიზბარ ჯაველიძე: „თუ სააკაშვილს სახელმწიფო არ დასჯის, ამას იქმს ქართველი ხალხი“

## „სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა კი არა, პირსისხლიანი დიქტატორი იყო“

მარიკა მჭედლიშვილი



აკადემიკოსი, ყოფილი დეპუტატი და მინისტრი, სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი, ელიზბარ ჯაველიძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის დაუსჯელობა არ შეიძლება. ვინაიდან, ყოფილ პრეზიდენტს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი საქართველოსა და საკუთარი ხალხის წინაშე. მის მიმართ ბრალის წაყენება კი, დაგვიანებულია. აკადემიკოსის აზრით, სააკაშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები იმაზე მეტყველებს, რომ უცხოეთში მყოფ ნაცმოძრაობის ლიდერს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს. ელიზბარ ჯაველიძე გამოდის ინიციატივით, საზოგადოებამ ბოიკოტი გამოუცხადოს იმ სატელევიზიო არხებს (პირველ რიგში, ნაცმოძრაობის პარტიულ ტელევიზიად წოდებულ „რუსთავი 2“-ს), რომლებიც აგრძელებენ მაყურებლის შეცდომაში შეყვანას, რეკლამირებას უკეთებენ ნაციონალური მოძრაობის დამნაშავეებს და ეწევიან გარყვნილებისა და უზნეობის პროპაგანდას. „ახალი თაობა“ ელიზბარ ჯაველიძეს ესაუბრა

***– საქართველოს პროკურატურამ უცხოეთში მყოფ სააკაშვილს ბრალიც წაუყენა და მისი დაკავებაც მოითხოვა. თქვენი აზრით, არის თუ არა საამისოდ მომწიფებული სიტუაცია მსოფლიოში? მოსალოდნელია თუ არა, რომ სააკაშვილის დაკავება და გადმოცემა მოხდეს?***

– ჩემი აზრით, სააკაშვილისათვის ბრალის წარდგენა დაგვიანებულია. ეს მაშინ უნდა განეხორციელებინათ, როცა ეს ყმაწვილი აქ ბრძანდებოდა. საქართველოში რომ იმყოფებოდა, მაშინ უნდა წარედგინათ ბრალი და ქეჩოში წაევლოთ ხელი.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არ განხორციელდა ეს თავის დროზე?***

– სამწუხაროდ, არსებობენ გარე ძალები. ისინი დემოკრატიას მოჩვენებითად იცავენ. არიან ფულზე გაყიდული სააკაშვილის ე.წ. მეგობრები. ისინი სააკაშვილის მიმართ ზომების მიღების გამო დიდ აურზაურს ატეხდნენ. მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ანგარიში უნდა გავუწიოთ მსოფლიო საზოგადოების აზრს. მაგრამ როგორ უნდა გავითვალისწინოთ აზრი, რომელიც ყალბია და უზნეობაზეა აღმოცენებული? ჩვენ უძველესი კულტურის მქონე ერი ვართ და დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს. რატომ უნდა მივიღოთ მხედველობაში აზრები, რომლებიც მოჩვენებით დემოკრატიაზეა აგებული? ჩვენ დიდი კულტურა და გამოცდილება გვაქვს ნებისმიერ სფეროში. მათ შორის, სამართალსა და პოლიტიკაში. როცა ყველა სფეროში გვაქვს ასეთი ტრადიციები, არავის აზრს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება. ხელისუფლებამ ხალხს უნდა მოუსმინოს, ქართველის გულისხმას უნდა მიაყურადოს და არა იმ გავრცელებულ პოლიტიკურ აზრს, რომელიც გლობალიზაციის წყალობით ბატონობს მთელ მსოფლიოში.

***– თავის მოსაზრებებს თავად სააკაშვილიც აფრქვევს...***

– მიხეილ სააკაშვილი გაქნილი და გაიძვერაა. მისი ბოლო გამოსვლა მოვისმინე და დავრწმუნდი, რომ ეს ყმაწვილი კაცი ნორმალურად ველარ აზროვნებს. აქამდე ჭორი დადიოდა, თითქოს ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. ვფიქრობ, რომ ეს ჭორი კი არა, მართალია. სააკაშვილის ბოლო გამოსვლა ისეთი აბდაუბდა იყო, რომ ის ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ბევრს გაუჩნდა აზრი, რომ ის სულიერად შერყეულია. გონებრივად არც ადრე ბრწყინავდა, მაგრამ, ახლა მთლად წაშლილი აქვს გონება. სააკაშვილი სასწრაფოდ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაამწესონ, ან – საპყრობილეში. ციხეში მოხვედრამაც შეიძლება უშველოს მას სულიერად. კარგი იქნება, სააკაშვილმა განიცადოს ის საშინელება, რაც სხვებს დამართა. იქნებ, ამის მერე გახდეს მორწმუნე ქრისტიანი, იქნებ, გაახსენდეს სამშობლო, რომელსაც ის ასე ჯიჯგნიდა ცხრა წლის განმავლობაში! დღეს, რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, ეს კაცი იჩემებს, რომ პირველი პატრიოტი და ქვეყნის მოყვარულია. ისე წარმოაჩენს თავს, თითქოს მილიონები არ მოუპარავს. ამაში ის სადღაც მართალია. სააკაშვილს მილიონები კი არა, მილიარდები აქვს წაღებული. ახლა მსოფლიოში დადის და ქართველის ერის წინააღმდეგ იგესლება. დაიჭერენ თუ არა სააკაშვილს, ამის მიუხედავად, მას განაჩენი უნდა გამოუტანონ. უნდა შედგეს სასამართლო და სასამართლომ დაუსწრებლად უნდა გამოიტანოს მის მიმართ გადაწყვეტილება 7 ნოემბრისთვისაც, 26 მაისისათვის და სხვა უამრავი ბოროტებისათვის. თვითონ აღიარებს, თუ როგორ ამოწყვიტეს ოჯახი მისი ბრძანებით. ამ დანაშაულს არანაირი მტკიცებულებების მოპოვება არ უნდა.

***– აფრასიძეების ამოხოცვის „ოპერაციას“ გულისხმობთ?***

– დიახ. აფრასიძეების ოჯახი ამოწყვიტეს. იქ იმყოფებოდნენ ქალები და ბავშვები. ამის გაკეთების უფლება არც ერთ პრეზიდენტს არა აქვს. ამისთვის მან პასუხი უნდა აგოს, როგორც მკვლელმა. მას სხვა საქმეებიც მძიმე ტვირთად აწევს. ჟვანიას, გურამ შარაძის მკვლელობებით დაწყებული, ახალგაზრდა ყმაწვილების მკვლელობებით დამთავრებული, ყველაფერი სააკაშვილის ნებით ხორციელდებოდა. სხვა საქმეებს რომ თავი დავანებოთ, ის, როგორც მკვლელი, უნდა გასამართლდეს. მას უვადო პატიმრობა უნდა მიესაჯოს. თუ ამას სახელმწიფო არ გააკეთებს, ამას იქმს ქართველი ხალხი.

***– მას დამცველები და თანამოაზრეებიც ჰყავს...***

– მისი დამცველები სინდისგარეცხილი და შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ხალხია. ამ პირებს რეალობასთან კავშირი არა აქვთ. ისინი ცრუობენ და აქეთ გვამუნათებენ. მათ რომ მოუსმინოს კაცმა, თურმე, სააკაშვილი ყოფილა ის ფიგურა, რომლის დასჯითაც ჩვენ წავაგებთ, თურმე, საქართველო ჩაითვლება არადემოკრატიულ ქვეყნად. ამ განცხადების ავტორებს ასე ვუპასუხებ: თუ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა, როგორც ეს ამერიკამ გამოაცხადა, შემირცხვენია ასეთი აზროვნება და მიმიფურთხებია ამისთანა დემოკრატიისათვის. სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა კი არა, პირსისხლიანი დიქტატორი იყო. სასტიკი კალიგულა ნიჭიერებით გამოირჩეოდა. სააკაშვილი კალიგულას უნიჭო მიმბაძველი იყო. როგორ შეიძლება ამ ჯალათის დემოკრატად გამოცხადება! თუ ესაა დემოკრატია, არ მინდა. არც აშშ-ს და არც ევროპას არ გააჩნიათ უფლება, ჩაერიონ საქართველოს საქმეებში, მის სამართლებრივ სივრცეში. არავის აქვს უფლება, თავისი სურვილები მოგვახვიოს. ამერიკამაც თავის თავს მიხედოს და ევროპამაც. ჯერ საკუთარი პრობლემები მოაგვარონ და მერე გვასწავლონ ჭკუა. ჯერ საკუთარ ტერიტორიებზე შექმნან ისეთი ზნეობრივი ატმოსფერო, რომ ეს ჩვენც წაგვადგეს. სამწუხაროდ, ამერიკის არც ეკონომიკა გვადგება და, მით უმეტეს, არც სულიერი სამყარო. ევროპის ზნეობრივი მდგომარეობაც მძიმე დღეშია. ცუდი წარსულის მქონე სააკაშვილის დამცველები ახლაც ძალიან ცუდად იქცევიან. ოთო კახიძე ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო. ის იყო იმ კაცის მონა, რომელმაც მთლიანად საქართველო მოსპო. პირველ რიგში, ონიანისა და კახიძის მსგავსი დამცველები უნდა დაიჭირო. ეგენი რომ დაიჭირონ, შეიძლება მაშინ დადუმდეს ის ხროვა, რომელიც ასეთივე უნამუსო განცხადებებს აკეთებს სატელევიზიო სივრცეში. სააკაშვილის ამ მომხრეებს ერთი წიგნიც არა აქვთ წაკითხული, მაგრამ, მთელ საქართველოს ასწავლიან ზნეობასა და წიგნიერებას.

***– ამ მქადაგებლებს შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი კოდუაც დაემატა...***

– ამაზრზენი იყო კოდუას განცხადებები. სააკაშვილის რეჟიმის დროს ერეკლე კოდუა მკვლელობების პირველი შემკვეთი იყო. მისი კარნახითა და ჩარევით ხდებოდა ამა თუ იმ ადამიანის (ნაცმოძრაობის ლიდერებისთვის მიუღებელი) ფიზიკური განადგურება. ახლა კოდუას უცოდველ კრავად მოაქვს თავი. ისე უსირცხვილოდ ილაპარაკა, ლამის თავი შეგვაცოდა. კოდუას გამოსვლა ბოდვა იყო. როგორ შეიძლება მისი ერთი სიტყვაც კი დაიჯერო! მისი განცხადებები ჭეშმარიტებასთან ახლოსაც კი არ არის.

***– მას დიდ დროს უთმობენ...***

– ამაში ძალიან სცოდავენ ტელევიზიები. განსაკუთრებით, „რუსთავი 2“. ეს არხი იმთავითვე აცხადებდა, რომ გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაა. ამ მედიასაშუალებას არათუ კარგი არაფერი გაუკეთებია, არამედ, ის დიდი ხანია არის საზოგადოების, ქართველი ხალხის პირველი მტერი. ესაა ბუდე, საიდანაც იხრწნება ქართველი ახალგაზრდობა, საიდანაც მუდმივად სიცრუის ნაკადი მოდის. „რუსთავი 2“ ის ბუნაგია, სადაც იგეგმებოდა და დღესაც იგეგმება ქართული სახელმწიფოს და ყველაფერი ეროვნულის მოსპობა. სამწუხაროდ, მისგან სხვა სატელევიზიო არხებიც („იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მაესტრო“) ხშირად არ განსხვავდებიან.

***– ამის გამო ბევრი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილებას და ამ არხებს ნაკლებად უყურებს...***

– ჩვენ ამ არხების მიმართ უფრო სერიოზული პროტესტი უნდა გამოვხატოთ. ამ ტელევიზიებს, პირველ რიგში, „რუსთავი 2“-ს, ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ. საზოგადოებას ასეთი ლოზუნგით უნდა მივმართოთ: თუ გიყვართ სამშობლო და ქართველი ხალხი, არ უნდა შეხედოთ ამ ტელევიზიებს. საზოგადოებას უნდა მოვუწოდოთ. მერე ვნახავთ, აჰყვება თუ არა ქართველი ხალხი ამ ლოზუნგს. ამას შევადარებდი სიბნელეში ფანჯრებში სანთლების ანთებას, როგორც, საშობაოდ, კათოლიკოს-პატრიარქმა მოგვცა კურთხევა. თუ ამის გაკეთება მოვახერხეთ, ეს იქნება წვლილი სამართლიანობის გაკვლევის, ერის ვინაობის დაცვის გზაზე. სადაც ეს ტელეარხები და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურობენ, რომელ გადარჩენაზეა საუბარი! კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია ისე გათამამდნენ, რომ უტიფრად აცხადებენ, აბა, გაგვაცანით, სააკაშვილის და სხვების წინააღმდეგ როგორ მიდის გამოძიებაო. ვინ ჰკითხავს კოჟორიძეს, გიგაურსა და ლომჯარიას, როგორ მიმდინარეობს გამოძიება? ვინ არიან, ყველაფერში რომ ერევიან? ამერიკიდან, დასავლეთიდან ფინანსდებიან და იმიტომ აქვთ ყველაფრის უფლება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საზღვარგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლის საკითხი უნდა დადგეს. უნდა გაირკვეს, რაში იხარჯება ის დიდი ფული, რომელსაც მათ უხდიან. ისედაც ვხედავთ, რომ ეს თანხები იხარჯება ქართული სახელმწიფოსა და ქართული ცნობიერების წინააღმდეგ.

***– როგორ ფიქრობთ, გამოიყენებენ თუ არა სააკაშვილს მისი პატრონები საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად?***

– ამის მცდელობები შეიძლება იყოს, თუმცა, არაფერი გამოუვათ. სააკაშვილს ხალხი სათანადოდ დახვდება. სააკაშვილს მარტო ლაყე კვერცხები კი არ მოხვდება თავში, მას გამწარებული ადამიანები ჩაქოლავენ. ასეთია ქართველი ხალხის განწყობა. სააკაშვილის მომხრე მოსახლეობის ერთი პროცენტიც არ იქნება. რა მცდელობებიც არ უნდა იყოს, სააკაშვილი და მისნაირები ქართველი ხალხისაგან საკადრის პასუხს მიიღებენ. ამიტომ არიან შებორკილები, თორემ, რაც გულში აქვთ, აქამდე განახორციელებდნენ.

**სააკაშვილს მარტო ლაყე კვერცხები კი არ მოხვდება თავში, მას გამწარებული ადამიანები ჩაქოლავენ. ასეთია ქართველი ხალხის განწყობა. სააკაშვილის მომხრე მოსახლეობის ერთი პროცენტიც არ იქნება. რა მცდელობებიც არ უნდა იყოს, სააკაშვილი და მისნაირები ქართველი ხალხისაგან საკადრის პასუხს მიიღებენ. ამიტომ არიან შებორკილები, თორემ, რაც გულში აქვთ, აქამდე განახორციელებდნენ.**

## შსს-ს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით მოლდოვის რესპუბლიკას ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ოფიციალური ვიზიტით მოლდოვის რესპუბლიკაში იმყოფებიან.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტი სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მე-2 ფაზის იმპლემენტაციის კუთხით, მოლდოვის რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად.

განსაკუთრებული ყურადღება სამართალდამცავ უწყებებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის, პერსონალური მონაცემების დაცვის, საზღვრის ინტეგრირებული მართვის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში გამოცდილების გაზიარებას დაეთმობა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული ცენტრის, გენერალური პროკურორის ოფისის, ევროინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთანაა დაგეგმილი.

**ნიუსპრესი**

## კახეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორსული ქალი გარდაიცვალა




კახეთში, ავტოსაგზაო შემთხვევას ორსული ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა, ორი ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

დაშავებულებს თელავის რეფერალურ საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდათ.

ავარია თელავის აეროპორტთან მოხდა, რა დროსაც ბე-ემ-ვე-ს მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ხეს დაეჯახა და რამდენჯერმე ამობრუნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ავტომანქანის მძღოლი ნასვამი იყო.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**ნიუსპრესი**

## გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნები დაიკარგა



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან უნიკალური გამოცემები დაიკარგა. ინფორმაციას ამის შესახებ ქართული ტელეკომპანიები ავრცელებენ.

წიგნების დაკარგვის ფაქტი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შენიშნეს, რის შემდეგაც უნივერსიტეტში წიგნის ფონდის აღწერა დაიწყო.

ჯერჯერობით უცნობია, ფონდის რა ნაწილია დაკარგული.

საქმეზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**ნიუსპრესი**

# სად დაიმსახურა ყოფნა სააკაშვილმა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია და მას სასამართლომ დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.

დამეთანხმებით, ეს ფრაზა ნებისმიერ ჩვენგანს თუნდაც სამიოდე წლის წინ რომ გაგვეგონა, მას ფანტასტიკის სფეროს მივაკუთვნებდით, ხოლო ამ ფრაზის წარმომთქმელ პირს ყველა ურჩევდა ჩუმად ყოფილიყო, რადგან „ვანო ყველას უსმენდა."

დღეს აღნიშნული ფრაზა უკვე რეალობას ასახავს და მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ქვეყანა სათამაშოდ და თავისი ავადმყოფური ახირებების სარეალიზაციო ტერიტორიად აქცია, დღეს პატიმრობა აქვს მისჯილი. მართალია, სააკაშვილი ჯერჯერობით საპყრობილეში არ იმყოფება, მაგრამ როგორც საზოგადოება დარწმუნდა, მოულოდნელი და წარმოუდგენელი უკვე აღარაფერია.

მართალია, საზოგადოების გარვეული, მცირე ნაწილი, რომელიც ისტორიულ პრეცენდენტებს იცნობდა და რომელიც სააკაშვილის მმართველობას რეალურად აფასებდა, დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, „ვარდების რევოლუციის" მედროშე ასე, ან ამაზე უარესად დაამთავრებდა, მაგრამ თუ ეს ყველაფერი ასე მოკლე დროში მოხდებოდა, ამის წარმოდგენა საზოგადოების ამ სეგმენტის უმრავლესობასაც კი, ძალიან გაუჭირდებოდა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: დღეს მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია და მას პატიმრობა აქვს მისჯილი.

იმსახურებს თუ არა ის თავისი მოღვაწეობით იმას, რაც ემუქრება და რაც პრაქტიკულად გარდაუვალია?

რა თქმა უნდა, იმსახურებს. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც საზოგადოება თავის სიმაღლეზე დგას, უფრო პოპულარული ენით რომ ვთქვათ, სადაც საზოგადოებას თავმოყვარეობა გააჩნია, მიხეილ სააკაშვილი აქამდე ლინჩის წესითაც კი უნდა იყოს გასამართლებული, რადგან მის სახელს უამრავი სისხლი და რბევა უკავშირდება.

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ნულოვანი ტოლერანტობა და ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდა ბიჭები;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება კუბდართმოყვარული გია ბარამიძისთვის ბრძანების მიცემა და სვანეთში, მძინარე ოჯახზე სარაკეტო იერიშის მიტანა, რომლის შედეგებიც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი ნგრევა, საკუთრების უფლების ხელყოფა და ბიზნესმენების მიერ ღამის 3 საათზე წილების „ნებაყოფილობითი" დათმობა;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამოკეტვა, პოლიტრეპრესიები და პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ყველა, მათ შორის მორალსა და ზნეობას მოკლებული მეთოდების გამოყენება;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისება;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება იმ სიმახინჯეების აშენება თბილისში და არა მარტო თბილისში, რომელიც საზოგადოებას, სამწუხაროდ, დღემდე ნერვებს უშლის;

მიხეილ სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის სახელს უკავშირდება გორში სამარცხვინოდ ქუჩაში ფორთხვა და საერთაშორისო მედიასაშუალების პირდაპირ ეთერში შიშისგან საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვა;

მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება მისი გარემოცვის უეცრად გამდიდრება, მისი დედიკოსთვის უზარმაზარი ადმინისტრაციული შენობების ჩუქება, ხოლო მისი ბებიკო მზიასთვის, უცხოურ ტურებში ბიუჯეტის ხარჯზე სეირნობა;



მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ახალგაზრდა, ლამაზი გოგონებისთვის ბიუჯეტის ხარჯზე უძვირფასესი საჩუქრების გაკეთება და ასევე, ბიუჯეტის ხარჯზე, მისი შვილის სწავლის საკმაოდ ძვირი საფასურის გადახდა;

და ბოლოს, მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ის უდიდესი ავანტიურა და ის უდიდესი ტრაგედია, რომლის 6 წლისთავიც ამ კვირაში შესრულდება და რომელიც, ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტად, ათეულ ათასობით დევნილად და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების პერსპექტივის გაურკვეველი ვადით გადაწევად დაუჯდა;

ესაა უმცირესი ჩამონათვალი იმ დანაშაულებისა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათგან თუნდაც ერთი, ნორმალური და თავმოყვარე საზოგადოებისთვის საკმარისი იქნებოდა, რომ სააკაშვილისთვის კადაფის ბედი სანატრელი გამხდარიყო.

ასე, რომ ყოველგვარი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ, დიდი ალბათობით, კაცობრიობის წინაშეც.

ამ ყველაფერს კი მაშინ გაეცემა პასუხი, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომი არა „ოპოზიციონერ" დავითაიასებურად, არამედ რეალურად იქნება გამოძიებული.

ძალიან დიდი დანაკლისია 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების საქმეში ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობა თუ მკვლელობა, რადგან სწორედ ამ პერიოდში, ის საქართველოს ელჩი იყო რუსეთში და შესაბამისად, უეჭველია, რომ უამრავ ფასდაუდებელ ინფორმაციასაც ფლობდა. ამ ვარაუდს აძლიერებს მისი დაკითხვის ფაქტი დავითაიას კომისიის მიერ, როდესაც გამწარებულმა გივი თარგამაძემ კიწმარიშვილს პირდაპირ ეთერში ავტოკალამი ესროლა.

რაც შეეხება, დასავლეთის რეაქციას მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებასა და მისთვის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რეაქციების სიმკვეთრე ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ განხორციელებული აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით, დასავლეთიდან მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ ადრე ნაცრეჟიმის ნებისმიერი წარმომადგენლის დაკითხვაზე დაბარებას ევროპა ლოყების ხოკვითა და თავზე ნაცრის წაყრით ხვდებოდა, დღეს ეს მთლად ასე აღარაა, თუმცა მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, ლოყების დახოკვისა და მოთქმა-გოდების მეთოდს რესპუბლიკელმა სენატორმა, მაკკეინმა და მისმა თანამოაზრეებმა მიმართეს, როცა საქართველოს მთავრობის მისამართით უსტარი აფრინეს და სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების გამო, იმედგაცრუება გამოხატეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ ის მართლაც დემოკრატიის მექაა, მიხეილ სააკაშვილის მიმართ იმედი ჯერ კიდევ წლების წინ უნდა გაცრუებოდა, მაგრამ ძალმომრეობაზე დამყარებულ დღევანდელ მსოფლიო წესრიგში, „ჩვენი ძაღლიშვილის" ფორმულა კვლავ აქტუალურია და მსოფლიო ზესახელმწიფოებიც სწორედ ამ ფორმულით სარგებლობენ.

„ჩვენი ძაღლიშვილის" ფორმულით, ოღონდ უფრო „ლაით" ფორმებში ისარგებლა ოფიციალურმა თეთრმა სახლმა და ოფიციალურმა ევროგაერთიანებამ ექსპრეზიდენტისთვის ბრალის წაყენების შემდეგ.

კერძოდ კი, არც ამერიკამ და არც ევროპამ ტრადიციებს არ უღალატეს და ამ ფაქტის გამო, შეშფოთება გამოთქვეს, გაგვაფრთხილეს, რომ ქვეყანაში სამართლებრივი პროცესები ისე არ უნდა წარიმართოს, რომ ამან პოლიტიკური შურისძიების აღქმა დატოვოსო, ასევე გაგვაფრთხილეს, რომ პროცესების გამჭვირვალობას ვაკვირდებითო და ამასთანავე დასძინეს, რომ კანონის წინეშე ყველა თანასწორი უნდა იყოს და კანონი უზენაესიაო.

ამას ბატონებო, ქართულ ენაზე „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები" ჰქვია, თუმცა დასავლეთს დღეს პრაქტიკულად სხვა გზა არც აქვს დარჩენილი. ერთის მხრივ, მან იცის იმ დანაშაულების შესახებ, რასაც მიხეილ სააკაშვილი წლების განმავლობაში დემოკრატიის სახელით ჩადიოდა და რაზეც დასავლეთი თვალს ხუჭავდა, იცის რომ ეს დანაშაულები ველარ დაიმალება, მაგრამ ამავდროულად, მისი პრესტიჟის საქმეა, რომ საკუთარი პროექტი დაიცვას.

თუმცა, მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დასავლეთი თავს დიდად არც თავისი პროექტების დაცვით იწუხებს და უფრო მეტიც, თუ მისი პროექტის შემადგენელი ესა თუ ის ობიექტი ადექვატურობის ჩარჩოებს გასცდება, – მას თავადვე იშორებს. მიხეილ სააკაშვილი კი ადექვატურობისა და ფსიქიკური წონასწორობის ჩარჩოებს, მოგეხსენებათ უკვე კარგა ხანია გასცდა და ის დღეს უკვე თავს უკრაინის გამათავისუფლებელს უწოდებს. პრაქტიკულად, მიხეილ სააკაშვილს სხვა გზა არც აქვს. თუ დასავლეთი უკრაინაში დამარცხდა, რისი ყველანაირი წინაპირობაც არსებობს, ეს პროცესი სააკაშვილის ოთხ კედელში გამოკეტვას მნიშვნელოვნად დააჩქარებს. მიუხედავად მისი ფსიქიკური წონასწორობისა, სააკაშვილს ეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული და ამიტომაც ცდილობს დახატოს სურათი, რომ თითქოსდა პუტინი მისი უკრაინული საქმიანობით გაცოფებულია და საქართველოს ხელისუფლების ხელით მის განეიტრალებას ცდილობს.

სააკაშვილის ეს მცდელობა, თავის დროზე მისსავე კიდევ ერთი მგზნებარე „ოპოზიციონერის", გია თორთლაძის (იმ გია თორთლაძის, რომელსაც ხალხმა სიყვარულით „პადოშა" შეარქვა) მცდელობას ჰგავს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მე თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეულობით ათას ლარს ვხარჯავ და მთებზე დავფორთხავ, ამით ეროვნულ საქმეს ვაკეთებ, მწვერვალებზე საქართველოს ოკუპაციის შესახებ ინფორმაციას ვტოვებ, მერე ამ ყველაფერს ფირზე დოკუმენტური ფილმის სახით ვიღებ და ამაზე პუტინი ყველაფერს იბრდღვნისო.

ისევ დასავლეთის თემას მივუბრუნდეთ: დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას დასავლეთი არგუსის თვალით აკვირდება და შესაშფოთებლადაც მუდმივად მზადაა, ის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში, თუნდაც ორჯერ რომ შეშფოთებულიყო, ქართველი ხალხი ავტორიტარიზმს არ მიიღებდა და არც დასავლეთს ექნებოდა ასეთი დაცემული რეპუტაცია დღეს საქართველოს მოსახლეობის თვალში.

წელან დასავლეთის კიდევ ერთი ხელწერა ვახსენეთ, ანუ როცა ის თავისი პროექტის უკვე გამოყენებულ ობიექტებს თავიდან იშორებს, მითუმეტეს, თუ ეს ობიექტები ადექვატურობის ჩარჩოებს გაცილებული არიან.

იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილი 2008 წლის ომთან დაკავშირებით, რაიმე საერთაშორისო მნიშვნელობის ინფორმაციის მატარებელია, რომელსაც შეუძლია, რომ დასავლეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს, მაშინ გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილს მოიშორებენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

გამომდინარე სააკაშვილის ფსიქოტიპიდან და იქედან, რომ ის ბუნებით ძალიან მშიშარაა, დასავლეთს ნამდვილად ვერ ექნება გარანტია, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი თავის ჩვენებაში, რაიმე საერთაშორისო სკანდალს არ გახეთქავს. რა თქმა უნდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დღევანდელ, როგორც აღვნიშნეთ, ძალმომრეობაზე დამყარებულ მსოფლიო წესრიგში კი, გარდა „ჩვენი ძაღლიშვილის" პრინციპისა, მოქმედებს პრინციპი – „მკვდრები არ ლაპარაკობენ," რაც კონკრეტულმა პირებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებისა და მისთვის პატიმრობის მისჯის საკითხს, ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ დაგვიანებული დასაწყისია და მსოფლიო პრაქტიკიდნ გამომდინარე, საქართველოს ექსპრეზიდენტის მიმართ სამართლიანობის აღდგენის პროცესს ვერაფერი ველარ შეაჩერებს და ის აუცილებლად აღმოჩნდება იქ, სად ყოფნაც მან თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა.

ხოლო, სად დაიმსახურა ყოფნა სააკაშვილმა 2003 წლის შემდეგ, ამას, დარწმუნებული ვარ, რომ აბსოლუტურად მიუკერძოებელი სასამართლო გადაწყვეტს.

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი"**

## უცხოელებისთვის პირველი სექტემბრიდან ახალი რეგულაციები ამოქმედდება

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსასვლელად პირველი სექტემბრიდან ახალი რეგულაციები ამოქმედდება.

ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ გააკეთა.

„ახალი კანონით სიახლეები სამი მიმართულებით შემოდის. ეს ეხება სავიზო რეგულაციებს, ბინადრობის ნებართვების გაცემას და არალეგალურად მყოფი მიგრანტის საქართველოდან გაძევებას. ძირითადი ცვლილება არის ის, რომ ქვეყანაში შემოსვლა შესაძლებელი იქნება 180-დღიან პერიოდში 90 დღით. ეს ეხება უვიზო ქვეყნების მოქალაქეებს და იმ ქვეყნების მოქალაქეებს, სადაც სავიზო რეჟიმი მოქმედებს. სიახლეა ისიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სურვილი აქვს საქართველოში უფრო მეტი ხნით შემოვიდეს ანუ გრძელვადიანად – სასწავლებლად, სამუშაოდ ან ოჯახის გაერთიანების მიზნით, ამ შემთხვევაში მათ საემიგრაციო ვიზის აღება მოუწევთ.

კანონში განხორციელებული ცვლილებებით საკანონმდებლო დონეზე არ იქნება განსაზღვრული იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, სადაც უვიზო რეჟიმი იმოქმედებს. ასეთი ქვეყნების სიას მთავრობა საკუთარი დადგენილებით განსაზღვრავს.

მისივე თქმით, უვიზო რეჟიმი ექნებათ ევროპის ქვეყნების, ნატო-ს წევრი, დსთ-ს წევრი და საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებს.

**მედიანიუსი**

## ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას თამარ ჩიკვაიძე შეასრულებს

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას, ხვალიდან თამარ ჩიკვაიძე შეასრულებს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში „ნიუსპრესს" განუცხადეს, თამარ ჩიკვაიძე ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი სიგუას ერთ-ერთი მოადგილე იყო.

გიორგი სიგუამ თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დღეს გააკეთა. სიგუას თქმით, ის გადაწყვეტილებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ გაასაჩივრებს. მანვე, დღეს, ამ თანამდებობაზე მისი ბოლო პროექტის, საქართველოს საიმიჯო კლიპის პრეზენტაცია გამართა, ამის შემდეგ თანამშრომლებს მიმართა და მადლობა გადაუხადა.

„ძალიან დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს. მე ქედს ვიხრი თქვენს წინაშე. ჩვენ გავამართლეთ ძველი აფრიკული ანდაზა, რომელიც ამბობს, რომ „თუ გინდა წახვიდე სწრაფად, იარე მარტო. თუ გინდა წახვიდე შორს, იარეთ ერთად", – განაცხადა სიგუამ.

**ნიუსპრესი**

## არჩილ გეგეშიძე: „აშშ-ში სააკაშვილის ბრალის შესახებ გარკვეული შეკითხვები არსებობს"

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, არჩილ გეგეშიძის განცხადებით, აშშ-ში 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრისა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების საქმეზე, გარკვეული შეკითხვები არსებობს.

მისი განცხადებით, ამ შეკითხვებმა რომ აღარ იარსებოს, პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.

„აშშ-ში ზოგიერთ ჩვენს კოლეგას აქვს გარკვეული შეკითხვები და მოსაზრებები ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ისევე როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ჩვენც ადგილზე ვცდილობთ, რომ ეს ახსნა-განმარტებები გავაკეთოთ, რათა მათ ჰქონდეთ სრული სურათი იმ პროცესების შესახებ, რაც საქართველოში მიმდინარეობს", – განაცხადა გეგეშიძემ.

2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრისა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების საქმეზე ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ასევე ყოფილ გენერალურ პროკურორს, ზურაბ ადეიშვილსა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზერაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდათ. აღნიშნულს საქმეზე ბრალდებულები არიან შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# უკრაინა: რუსეთი წნეხს აძლიერებს

როგორც მოსალოდნელი იყო, აგვისტოს პირველი დღეები უკრაინაში რუსეთის მკვეთრი გააქტიურებით აღინიშნა. რაც უფრო მეტია უკრაინული არმიის წარმატებები, რუსეთის დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა მით უფრო იზრდება. მოკლედ, რუსების ტაქტიკა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1) ფსიქოლოგიური ზეწოლა; 2) ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის ინტენსიური გადასროლა; 3) ფართომასშტაბიანი დეზინფორმაციული კომპანია; 4) მასობრივი არეულობების ორგანიზების მცდელობები; 5) დივერსიები და ტერორი.

ყველა ეს ღონისძიება კარგადაა ორგანიზებული და დაფინანსებული და მათ პროფესიონალები ახორციელებენ.

### გრადები რუსეთ-უკრაინის საზღვართან



3 აგვისტოს რუსეთ-უკრაინის საზღვრის მთელს პერიმეტრზე სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია შეინიშნებოდა. უკრაინის დაზვერვამ დააფიქსირა რუსი ჯარისკაცები, რომელთაც სამკლაურზე მოკლე ლაკონიური წარწერა ჰქონდათ: სამშვიდობო ძალები. რუსული არხებისათვის მიცემულ ინტერვიუებში რუსი ჯარისკაცები არ მალავდნენ, რომ უკრაინაში შეჭრისათვის ემზადებიან. თავისი შოვინისტური პოზიციით ცნობილმა არხმა „როსია 24“-მა გადასცა ინტერვიუ ერთ-ერთ რუს ჯარისკაცთან, რომელმაც განაცხადა:

– განწყობილება საბრძოლოა! ერთი სული გვაქვს, სანამ ბრძანებას მივიღებთ და უკრაინაში შევალთ! რუსეთმა დაამტკიცა, რომ სამშვიდობო მისიის წარმატებით განხორციელება შეუძლია! საქართველოში და დნესტრისპირეთში ომი სწორედ ჩვენი ძალისხმევის შედეგად შეწყდა! ახლა უკრაინის მიმართაც იგივე მოხდება!

4 აგვისტოს რუსული სამხედრო ტექნიკა უკრაინის საზღვრისაკენ გაემართა. რუსები საზღვართან სულ ახლოს მივიდნენ. უკრაინული მხარე დაუპატიჟებელი სტუმრების დასახვედრად მოემზადა. რუსები საზღვართან მხოლოდ ორი კილომეტრის დაშორებით შედგნენ. რუსმა ჯარისკაცებმა სანგრების გათხრა დაიწყეს, ტანკებმა კი უკრაინის ტერიტორია მიზანში ამოიღეს .

– ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რათა მათთვის ცეცხლი გაგვეხსნა, – განაცხადა შედგომში უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გელეტეიმ.

უკრაინელები პროვოკაციას არ წამოეგნენ. მაშინ რუსეთის ტერიტორიიდან უკრაინაში რამდენიმე სამხედრო თვითმფრინავი შემოიჭრა.

– მათ დონეცკამდე მიაღწიეს, ქალაქის თავზე წრე გააკეთეს და უკან დაბრუნდნენ, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

იმავე დღეს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ახალი ინციდენტი მოხდა. რუსულმა მხარემ გრადის ტიპის დანადგარიდან უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ეს სეპარატისტების კონტრიერიშს დაემთხვა. ტერორისტები სტრატეგიული სიმაღლის საურ-მოგილას დაბრუნებას შეეცადნენ.

– საბედნიეროდ, ჩვენს ჯარისკაცებს შორის არავინ დაზარალებულა. სეპარატისტების იერიშებიც მოვიგერიეთ, – თქვა გელეტეიმ.

ამის შემდეგ რუსული ტექნიკა უკრაინის საზღვრისაკენ კვლავ გაემართა. რუსები უკრაინის ტერიტორიიდან სულ ხუთ კილომეტრის დაშორებით გაჩნდნენ. მალე აქ რუსული გრადები გაჩნდა.

– გრადები ჩვენს საზღვართან სულ ახლოს იმყოფებიან, – იტყობინება ტელეკომპანია „მე-5 არხი“.

ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის გადასროლა ინტენსიურ ხასიათს იღებს

3 .აგვისტოს უკრაინის უშიშროების სამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ უკრაინაში ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის მორიგი გადასროლა იგეგმება, კერძოდ, უკრაინისაკენ ჩეჩენ დაქირავებულთა მთელი ეშელონი მიემართება.

– ისინი პირადად რამზან კადიროვმა გამოგზავნა, – განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა ნაიდამ.

მართლაც, 3 აგვისტოს ადგილი ჰქონდა უკრაინაში ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის დიდი ოდენობით გადასროლას. რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ნამდვილი ბრძოლები გაიმართა. ის ფაქტი, რომ საურ-მოგილა უკვე უკრაინელების ხელთაა და უსაფრთხოების კორიდორიც შეიქმნა, რუსებს დიდ პრობლემებს უქმნის. უკრაინელებმაც ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის დიდი ოდენობით განადგურება შეძლეს, თუმცა გარკვეულმა ნაწილმა დონეცკამდე ჩაღწევა მაინც მოახერხა. განსაკუთრებით მძიმე ვითარება 4 აგვისტოს შეიქმნა, როცა ბოევიკებსა და სამხედრო ტექნიკის დიდმა ნაწილმა რუსეთ-უკრაინის საზღვარი გადალახა. პარალელურად რუსებმა თავიანთ ტერიტორიიდან უკრაინელებს ცეცხლი გაუხსნეს. ამრიგად, ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რათა ბოევიკებს სეპარატისტების პოზიციებამდე უვნებლად ჩაეღწიათ. მიუხედავად ამისა, უკრაინელებმა ხსენებული კოლონის განადგურება შეძლეს.

– დაკავებულთა შორის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა, – იტყობინება ტელეკომპანია „მე-5 არხი“.

დატყვევებულა შორის 26 ჩეჩენია, 70-მდე კაზაკი, გვხვდებიან სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის მცხოვრებლებიც. ტერორისტთა შორის მხოლოდ ოცი დონბასელი აღმოჩნდა.

– ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ დონბასში არავითარი სამოქალაქო ომი არ მიმდინარეობს. ესაა რუსეთ-უკრაინის ომი, – განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

### დივერსიები და ტერორი

რუსეთი ცდილობს, დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა მთელი უკრაინის მასშტაბით გაშალოს. 3 აგვისტოს ტერორისტების ჯგუფი ხარკოვის ტანკმშენებელ ქარხანას თავს დაესხა.

– ქარხანას ცეცხლი ნაღმტყორცნიდან გაუხსნეს. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის, მხოლოდ შუშები ჩაიმსხვრა, – იტყობინება „მე-5 არხი“.

უკრაინის უშიშრიების სამსახურის ცნობით, ოდესაში გრანდიოზული პროვოკაცია იგეგმებოდა. ქალაქის ცენტრში დანიშნული იყო მიტინგი, რომელზეც თითქოს 2 მაისის ტრაგედიის მსხვერპლნი უნდა მოეგონებინათ. სინამდვილეში აქცია მასობრივ არეულობებში უნდა გადაზრდილიყო, რადგანაც დემონსტრანტები ოდესის საოლქო ადმინისტრაციის შენობის აღებას გეგმავდნენ.

– პარალელურად, ნავარაუდევი იყო დნესტრისპირეთიდან იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დიდი ოდენობის გადმოსროლა. ოდესაზეც რუსული დროშა უნდა აღმართულიყო, – იტყობინება უკრაინის უშიშროების სამსახური.

ტერორისტები აპირებდნენ გამოეყენებინათ ტაქტიკა, რომლის მეშვეობითაც შორეულ 1941 წელს გერმანულ-რუმინულმა გაერთიანებულმა ძალებმა ოდესა აიღეს. მაშინ ოკუპანტებმა ოდესა დნესტრს მოსწყვიტეს. ქალაქიც სასმელი წყლის გარეშე დარჩა და ის ნაცისტებმა დაიკავეს.

– ახლაც მსგავსი რამ უნდა გამეორებულიყო, – თვლის უკრაინის უშიშროების სამსახური.

ოდესის აქცია კარგად ორგანიზებულ-დაფინანსებული იყო. რად ღირს თუნდაც ის, რომ მისი მხარდამჭერი აქცია გაიმართა რომში, დიუსელორფში, ლონდონში. უკრაინელებმაც კონტრღონისძიებები გაატარეს. დნესტრისპირეთის საზღვართან უკრაინულთა სამხედრო წვრთნები ჩატარდა. საზღვარზე კონტროლი გამკაცრდა და ბოევიკების დიდი ოდენობით გადმოსვლაც ველარ მოხერხდა. თავად ოდესაში მილიციისა და უშიშროების დიდი ძალები იქნა მობილიზებული, თუმცა ყველაზე მთავარია ის, რომ მოსახლეობამ ტერორისტებს მხარი არ დაუჭირა.

– მიტინგზე მხოლოდ 100 კაცი მოვიდა, – იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

პროვოკაცია ჩაიშალა. სამაგიეროდ ლონდონში, რომსა და დიუსელდორფში „ოდესური ხატინის“ მხარდამჭერი აქციები ჩატარდა. ლოზუნგები უცვლელი იყო: „მოვითხოვთ, რათა ევროკავშირმა უკრაინელ ფაშისტების მხარდაჭერა შეწყვიტოს“. გარკვეული დროის შემდეგ დემონსტრანტები დაიშალნენ.

– ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, თვის ბოლოს ოდესაში ახალი პროვოკაციებია დაგეგმილი, – განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსმა ვალენტინ ნალივაიჩენკომ.

ოდესის გარდა, ექსცესები სხვა რეგიონებშიც იგეგმებოდა. 5 აგვისტოს ხარკოვის ოლქის სამხედრო კომისარიატი ააფეთქეს. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. დამნაშავეებმა შეძლეს მიმალვა.

### დეზინფორმაცია

როგორც ცნობილია, რუსული სპეცსამსახურები დეზინფორმაციის დიდოსტატები არიან. მათ ანკესს თვით სი-ენ-ენ-იც წამოეგო, რომელმაც გადასცა, რომ უკრაინულმა მხარემ ტერორისტებთან ბრძოლისას საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული ბალისტიკური რაკეტები გამოიყენა. ამან უკრაინელები აღაშფოთა.

– ჩვენს შეიარაღებაში ბალისტიკურ რაკეტები საერთოდ არ არის, – განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გელეტეიმ.

მოგვიანებით ნატოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცნობები ბალისტიკური რაკეტების შესახებ არ დადასტურდა. როგორც ჩანს, სი-ენ-ენ-ი რუსების ანკესზე წამოეგო და ოსტატურად მომზადებული „დეზა“ სინამდვილედ აღიქვა.

– ეს დეზინფორმაციის ერთადერთი შემთხვევა როდია. – იტყობინება „მე-5 არხი“.

უკრაინის ტერიტორიაზე რუსული დეზინფორმაცია ინტენსიურად ვრცელდება. რუსები ერთმანეთის მიყოლებით ავრცელებენ ფანტასტიკურ ხმებს. ისინი ამტკიცებენ, რომ „დონბასელ მოლაშქრეებისაგან“ (ასე უწოდებენ ისინი ტერორისტებს) გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებები, ხვრეტები და ა.შ. რუსები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პოროშენკომ ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, ხოლო პარლამენტმა კი ამას მხარი დაუჭირა:

– უკრაინელი სამხედროები ქუჩებში ახალგაზრდებს მასობრივად იჭერენ და საომარი მოქმედებების ზონაში აგზავნიან, – ეს ხმა მთელ უკრაინაში გავრცელდა.

მალე უკრაინის ზოგიერთ რაიონში „ძალადობრივი მობილიზაციის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გაიმართა. ამ აქციებს პროპაგანდისტული რუსეთის ტელეარხის „რაშა თუდეის“ ჟურნალისტები ხელმძღვანელობდნენ. ჟურნალისტი ფილიპსი (დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, რომელიც რუსულ არხზე მუშაობს) შეეცადა, ოდესის ოლქში მასობრივი არეულობები მოეწყო. პროვოკატორი უკრაინის უშიშროების სამსახურმა დააკავა და ქვეყნიდან გააძევა. „რაშა თუდეის“ მეორე ჟურნალისტი ალინა ეპრიმიანი არეულობების ორგანიზებას დასავლეთ უკრაინაში ცდილობდა. ის სწორედ მაშინ დააკავეს, როცა „ანტისაომარი აქციების“ ორგანიზატორთა მოსყიდვას აპირებდა. ეპრიმიანი უკრაინიდან გააძევეს.

ჟურნალისტები ყალბ ცნობებსაც ავრცელებენ. ასე მაგალითად, „რაშა თუდეიმ“ გადასცა, თითქოს ცნობილმა ლვოველმა ტელეწამყვანმა ორესტ დროზდოვმა პოროშენკოს მიერ გამოცხადებული მობილიზაცია დაგმო და მოსახლეობას მოუწოდა, რათა ხელისუფლებას დაემორჩილოს.

– ეს სრული სიცრუეა! მსგავსი არაფერი მითქვამს! – განაცხადა დროზდოვმა.

უკრაინის უშიშროების სამსახურმაც მოსახლეობას მოუწოდა, რათა რუს ჟურნალისტებთან საუბრისაგან თავი შეიკავონ. მიუხედავად ამისა, რუსული ტელეარხებიდან სიცრუის ნაკადი კვლავ ინტენსიურად მიედინება.

### დონბასი: უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს

მიუხედავად დივერსიებისა და ფართო დეზინფორმაციული კამპანიისა, მიუხედავად რუსეთის ტერიტორიიდან უკრაინის ტერიტორიის დაბომბვისა, უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. ის შევიდა შახტიორსკში.



სეპარატისტთა ყველა მცდელობა, უკრაინელები ქალაქიდან განედევნათ, მარცხით დასრულდა. უკრაინელები შახტიორსკს კვლავაც ინარჩუნებენ, თუმცა გარეუბნებში ჯერ კიდევ სეპარატისტები არიან გამაგრებული და კონტრშეტევებს განაგრძობენ. ცხარე ბრძოლები გრძელდება გორლოვკასა და პერვომაისკში. უკრაინელი სამხედროები ამ ქალაქებში შევიდნენ. ახლა მიმდინარეობს ბრძოლები მათზე სრული კონტროლის დამყარებისათვის. უკრაინელებმა დაიკავეს მარინკა (მდებარეობს დონეცკიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით), აგრეთე კრასნოგორიკა და სტარამიხაილოვკა. დონეცკი და ლუგანსკი, ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან მოწყვეტილია. ასევე მოხერხდა სეპარატისტთა სხვადასხვა ქვეგანაყოფების ერთმანეთისაგან იზოლირება პერვომაისკთან და შახტიორსკთან. ისინი ალყაში არიან მომწყვდეულნი.

– დღეისათვის დონბასის ტერიტორიის სამი მეოთხედი უკვე გათავისუფლებულია, – განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა ლისენკომ.

### შეიჭრება თუ არა რუსეთი უკრაინაში?

„დონბასელ მოლაშქრეთა“ კატასტროფული მდგომარეობა დასავლეთის შეშფოთებას იწვევს. ექსპერტები თვლიან, რომ პუტინი მოლაშქრეთა დამარცხებას არ დაუშვებს და უკრაინაში შეიჭრება. მართლაც, საზღვართან მსხვილი რუსული ქვეგანაყოფების კონცენტრაცია გრძელდება. 4 აგვისტოს რუსეთმა იარაღისა და ცოცხალი ძალის დიდი პარტია ბელორუსშიც გადაისროლა.

– როგორც ჩანს, რუსეთი აპირებს, უკრაინას ყველა მხრიდან დაარტყას, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ რუსეთი ფართომასშტაბიან აგრესიაზე წასვლას ვერ გაბედავს. „ამერიკის ხმის“ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 5-9 აგვისტოს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ვითარება მკვეთრად დაიძაბება. რუსები უკრაინის ტერიტორიის დაბომბვას უფრო ინტენსიურად დაიწყებენ. პარალელურად გაიზრდება სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის უკრაინაში გადასროლა. ჩეჩნების, კაზაკებისა და ოსი ბოევიკების გარდა, უკრაინაში დიდი ოდენობით სპეცნაზელებს (მედესანტეები, გრუს, ფესბ-ს სპეცნაწილები) გადაისვრიან. ისინი საგანგებოდ გაწრთვნილი კადრებითაა დაკომპლექტებული და რუსული არმიის ელიტურ ნაწილებს წარმოადგენენ. მებრძოლების უმრავლესობამ გაიარა ჩეჩნეთი, აფხაზეთი, იუგოსლავია. მათი მეშვეობით პუტინი დონბასში გარდატეხის მიღწევას შეეცდება. უწინარეს ყოვლისა, დონეცკსა და ლუგანსკთან ალყაში მოქცეული „მოლაშქრეები“ უნდა გაათავისუფლონ. შემდეგ ამას მთელი დონბასის მასშტაბით ფართო შეტევა მოჰყვება. პროგრამა მაქსიმუმი მთელი დონბასის დაკავებაა; პროგრამა მინიმუმი, რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის ოკუპაცია და უკრაინასთან „დროებითი ზავის“ გაფორმება. პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში რუსეთი ამ ზავს დაარღვევს, დაკავებულ ტერიტორიას კი ახალი შეტევისათვის პლაცდარმად გამოიყენებს.

– პუტინს დონბასი სწორედ მომავალი შეტევისათვის პლაცდარმად სჭირდება, – თვლის მემარჯვენე სექტორის ლიდერი დმიტრო იაროში.

დონბასში ბრძოლები გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

## განცხადებები

● იყიდება 65 კვ.მ ფართის ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლის გვერდით, მეტროსთან ახლოს, პრესტიჟულ ადგილას, ფასი შეთანხმებით. ტელ: 218-94-99; 599-37-58-83.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ოსტეოქონდროზის, მხედველობისა და სმენის დაქვეითების, სამწვერა ნერვის ანთების, რადიკულიტის, სახსრების, კუნთების დაავადებების, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება სწრაფად, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. თუ მკურნალობისთვის არ ხართ მზად, არ დაგვიკავშირდეთ. ტელ: 599-97-85-46. ბ-ნი ლევანი.

# საქართველოს ნაკრები მერიის თასის მოსაგებად ბელარუსებს შეხვდება

**საქართველო – დიდი ბრიტანეთი**
**73:60**
(14:11; 20:10; 14:26; 25:13)

**საქართველო:** მეტრეველი, ფხაკაძე (2ქ), სანაძე (11ქ), ფაჩულია (20ქ,10მ), ცინცაძე (12ქ), ჭოჭუა, ფაცაცია (2ქ), სანიკიძე (2ქ), ბურჯანაძე (9ქ), შარაბიძე, შენგელია (13ქ,6მ), ბერიშვილი, ლეჟავა, წივწივაძე

**დიდი ბრიტანეთი:** აჩარა (6ქ), ჰამილტონი (1ქ), ბეილი (6ქ), ვან ოოსტრუმი (3ქ), მორკფორდი, სალივანი, მარეი (3ქ), კლარკი (20ქ,7მ), ჰენსონი (6ქ), ბრაიან-ემენინგი (5ქ), ბოატენგი, ჯონსონი (10ქ)

მეტოქე საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი იყო, ამიტომ იგორ კოკოშკოვი წინა მატჩის მსგავსად რომ ექსპერიმენტებს საწყისი წუთებიდანვე არ მიმართავდა, ნათელი იყო. ამასთან, არცთუ ქულუხვი დასაწყისი გამოდგა – თითქმის 4 წუთში ორივე გუნდმა მხოლოდ 4 ქულა აიღო.

შემდეგ ფაჩულიამ წინ გაიყვანა საქართველო, რასაც კლარკმა სამიანით უპასუხა და ასე შეცდომებითა და ქულა-ქულაში გაგრძელდა თამაში. მეოთხედის დასრულებამდე 12 წამით ადრე შენგელიამ 2 საჯარიმო ჩააგდო და მცირე შესვენებაზე საქართველოს ნაკრები სამქულიანი უპირატესობით გავიდა – 14:11.

მეორე მეოთხედში სანაძისა და ცინცაძის აქტიურობის შემდეგ ანგარიში 25:15 გახდა. იქვე შენგელიას მორიგი შედეგიანი შეტევა და ბრიტანელებმა ტაიმ აუტს მიმართეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა – ტაიმი 34:21 მორჩა.

მესამე მეოთხედი არეულად დაიწყო, კოკოშკოვმა ექსპერიმენტებსაც მიმართა და ცოტა უკეთ ბრიტანელები გამოიყურებოდნენ და სამწუთნახევრით ადრე სხვაობა 4 ქულამდე დავიდა, ხოლო 40 წამით ადრე უკვე მინიმუმამდე და ბოლო ათწუთეულის წინ ანგარიში 48:47 იყო.

ბოლო მეოთხედში ცინცაძემ და ვან ოოსტრიმმა სამინები გაცვალეს, ფაჩულიას საჯარიმოები არ წაუვიდა და კლარკმა წინ გაიყვანა ბრიტანელები – 51:52.

თუმცა, აქ უკვე იღბალმა და მსაჯებმა ერთად გამოდმოგვხედეს – ბრიტანელებს ორი ტექნიკური ჯარიმა და ფაჩულიამ 4 სროლა ამჯერად ზუსტად გამოიყენა, რასაც ერთი შენგელიამ დაურთო – 56:52 საქართველო 7 წუთით ადრე დაწინაურდა.

შემდეგ ორი შეცდომა ბრიტანელებს შეტევაში და ფაჩულიამ სხვაობა ოდენ ქულით გაზარდა. ისევ ორჯერ ჩამოერთვათ ბურთი ბრიტანელებს შეტევაში, ერთხელაც თავად ვერ ივარგეს და – 61:52.

ბრიტანელები არ ნებდებოდნენ – კლარკის სამქულიანი ზუსტი აღმოჩნდა, მაგრამ ინგლისელების ყველა შეტევას უკვე მსაჯები აჩერებდნენ და ჩვენი ნაკრები წინ უკვე 15 ქულით გავიდა, თუმცა მატჩის ბედი მანამდე იყო გადაწყვეტილი. საბოლოოდ – 73:60.

**დავით უსტიაშვილი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი:**

– განსხვავებულად ვითამაშეთ, პირველი 20 წუთი გუნდი კარგად გამოიყურებოდა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. მეორე ნახევარში ცუდად ვიასპარეზეთ, კმაყოფილი ვერავინ ვერ იქნება. სამწუხაროდ, ვიქტორ სანიკიძემ წელის ტრავმის გამო კვლავ ვერ შეძლო თამაში, მალე უკვე ოფიციალური მატჩები გვაქვს და არ გვინდოდა მისი დატვირთვა. თუ ასეთი ტკივილები ექნება, ბელარუსებთან ისევ ვერ ითამაშებს. ვიქტორი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალაა, მითუმეტეს 3 ძლიერი მოთამაშე გვაკლია. შევეცდებით, უკეთ ვითამაშოთ.



**ჯო პრუნტი, დიდი ბრიტანეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ორივე გუნდისთვის რთული თამაში იყო, ძალიან კარგი მომენტები გვქონდა როგორც ჩვენ, ისე ჩვენს მეტოქეს, თუმცა ჩავარდნებიც საკმაოდ ბევრი იყო. დაცვაში თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით გუშინდელის შემდეგ, აშკარად გავაუმჯობესეთ, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. შეტევაში შესრულების დონე შედარებით დაბალი გვქონდა. მივულოცავ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გამარჯვებას, ძალიან ძლიერი გუნდია და ასევე საკმაოდ ძლიერი მწვრთნელი ჰყავს.

**ზაზა ფაჩულია:**

– პირველ ტაიმში უკეთ ვიასპარეზეთ, უფრო კარგად მიდიოდა თამაში როგორც დაცვაში, ისე შეტევაში, რასაც ვერ ვიტყვი მეორე ტაიმზე. იყო ბევრი შეცდომა და ეს ყველაფერი უნდა გამოვასწოროთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ნახევრიდან ვიქტორ სანიკიძემ ვერ გააგრძელა თამაში და ასეთი სერიოზული მოთამაშის დანაკლისი სიტუაციას ართულებს. მინდა ყველა დადებითად უყურებდეს მომავალ თამაშებს, ჩვენ მოვახერხეთ და ზედიზედ ორჯერ ჩვენი ძალებით გავედით ევრობასკეტზე. გვესმის, რომ არის პრობლემები და არის შეცდომები, თუმცა ეს ტრაგედია არ არის, ყველას მოვუწოდებ იმედიანად და დადებითად შეხედოს თამაშებს, მაქსიმალისტები ვართ და ყველაფერს გავაკეთებთ წარმატებისთვის.

**დენიელ კლარკი:**

– საკმაოდ დაძაბული, საინტერესო და ფიზიკურად რთული თამაში გამოვიდა. გუშინდელის შემდეგ, ვფიქრობ, ეს თამაში ჩვენთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, დაცვაში კარგად ვითამაშეთ. რაც შეეხება შეტევას, ბურთის გათამაშება უკეთესად გამოგვდიოდა, ვიდრე შეტევების დაგვირგვინება. თუმცა პროგრესი აშკარად გვქონდა და ჩვენთვის ეს არის მთავარი.

მერიის თასის მეორე მატჩში ბელარუსებმა საკმაოდ იოლად – 60:38 დაამარცხეს მოლდოველები და საქართველოს ნაკრების მსგავსად ორი მოგება აქვთ. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს სწორედ ისინი შეხვდებიან.

# ჰერტამ კობიაშვილი დაასაქმა

ლევან კობიაშვილი „ჰერტას" ახალგაზრდულ გუნდში იმუშავებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველმა გერმანულ „ბერლინერ ცაითუნგს" განუცხადა.

ლევან კობიაშვილი:



– „ჰერტას" ახალგაზრდულ გუნდში გავაგრძელებ მუშაობას, ოღონდ არა მწვრთნელად. ფეხბურთს ჯერ კიდევ ვთამაშობ, მაგრამ მინი მოედნებზე, რადგან დიდ მოედანზე „ბებრები" ვილლებით.

შეგახსენებთ, რომ კობიაშვილმა „ჰერტაში" 105 მატჩი ჩაატარა. მანამდე ნათამაშევი აქვს „შალკეში" (168) და „ფრაიბურგში" (164). ამ მაჩვენებლით კობიაშვილი ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა ლეგიონერებს შორის.

კობიაშვილი რეკორდსმენია სანაკრებო დონეზეც. ის ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც 100 მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნული ნაკრების მაისურით.

# საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა რუსეთსაც იოლად სძლია

საქართველომ რუსეთი დაამარცხა. „ბ" დივიზიონში მყოფი გია კაზანჯიანის გაწვრთნილი 16-წლამდელთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე ლატვიაში იმყოფება და „ა" დივიზიონის წევრ რუსეთს სპარინგ მატჩში დაუპირისპირდა. შეხვედრა ქართველების გამარჯვებით – 72:55 დასრულდა. მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ მისი მნიშვნელობა ვინძლო ოფიციალურ მატჩს აღემატებოდა. ქართველებმა რუსი თანატოლები დამაჯერებლად დაამარცხეს, რითაც ყველას დაანახეს, რომ ქართულ კალათბურთს მომავალი ეზრდება.

ეს შეიძლება უკვე თამამადაც ვთქვათ, რადგან ამ ბიჭებმა რამდენი დღის წინ ასევე მათზე რანგით მაღლა მყოფი უკრაინის ნაკრები ორჯერ დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა ლატვიაში მყოფმა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა:

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბიჭებს, რომლებსაც მობილიზება არ აკლდათ, მოედანზე ისე გავიდნენ, რომ დარწმუნებული ვიყავი, რუსეთი კი არა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მეტოქე, გაიმარჯვებდნენ. ჩვენს გუნდს უკრაინასთან რამდენიმე დღის წინ გამართულ მატჩებშიც არ აკლდათ შემართება, მაგრამ დღეს სულ სხვა განწყობით და შემართებით ითამაშეს. ვისურვებდი, რომ ჩვენს გუნდს სულ ესე ეთამაშოს და დამიჯერეთ, წარმატებები არ მოგვაკლდება.

***– რუსეთი „ა" დივიზიონის წევრია და საერთოდ, რუსეთს ყოველთვის ფავორიტი ნაკრები ჰყავს ნებისმიერ ასაკში.***

– „ა" დივიზიონის წევრი იყო უკრაინაც, რომელსაც თბილისში 2 მატჩი დიდი ანგარიშით მოვუგეთ. ამ ასაკში არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელ დივიზიონში ხარ. ყველაფერი თამაშის წასვლაზე, განწყობაზეა დამოკიდებული. საქართველოს ნაკრების წევრებმა დაცვაში ისე ითამაშეს, რომ რუსეთის ნაკრებს კი არა, ნებისმიერ გუნდს გაუჭირდებოდა ჩვენს ბიჭებთან თამაში. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს თავდადებული თამაშისთვის. მადლობა ჩემს ასისტენტებს – ირაკლი ტომარაძეს, თემურ კანკიას, და სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრს.

***– ჩვენი ნაკრები რამდენად მზადაა საიმისოდ, რომ „ა" დივიზიონში გადასასვლელად იბრძოლოს?***

– ჩვენი ნაკრები ყოველთვის იბრძოდა წარმატების მისაღწევად და მჯერა, რომ ახლაც ყველაფერს გააკეთებს ამისთვის. არ მინდა ეიფორიაში ჩავვარდე და რუსეთის და უკრაინის მოგების შემდეგ დავიწყო იმაზე ლაპარაკი, რომ ელიტარულ დივიზიონში აუცილებლად გადავალთ. ყველაფერს მომავალი გვაჩვენებს. ერთი რამ კი ცხადია – ჩვენი ხელმძღვანელობის, კალათბურთის ფედერაციის შრომას და მონადინებას, რომ კარგად მოვმზადებულიყავით, უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენმა ნაკრებმა დიდი გამოცდილება მიიღო გასული მატჩებით და წინ კიდევ არაერთი ღირსეული მეტოქე გველის, რომლებთანაც თამაში დიდ გამოცდილებას შეგვძენს.

***– კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ?***

– ლატვიაში კიდევ 2 სპარინგმატჩს გავმართავთ ადგილობრივ კლუბებთან – ოღონდ ჩვენზე 2 წლით უფროსებთან. შემდეგ ესტონეთში გადავალთ და იქ კიდევ 2 მატჩს ვითამაშებთ ადგილობრივ ნაკრებთან. 13, 14 და 15 აგვისტოს კი ბელგიაში გველის თამაშები ამ ქვეყნის 16-წლამდელთა ნაკრებთან. ნაკრები ფორმაში შედის და კიდევ 7 საკონტროლო მატჩი იქნება მართლაც საკმარისი საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის „ბ" დივიზიონს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

***– დაბოლოს, რუსეთთან თამაშის პერიპეტიებზე რას გვეტყვით.***

– დაცვა იყო ის, რის ხარჯზეც ეს შეხვედრა მოვიგეთ. მატჩი დიდი უპირატესობით დავიწყეთ. 11:0 ვიგებდით, ხოლო პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენმა ლიდერობამ 22 ქულა შეადგინა. ზედმეტია მატჩის დაძაბულობაზე ლაპარაკი. გამარჯვებას დამაჯერებელი თამაშის წყალობით მივაღწიეთ და ეს, ვიმეორებ, კარგად სათანადო მომზადებისა და მობილიზების შედეგად მოვახერხეთ.

# აზერბაიჯანელი ხალხის აზრი: მომხდარი სტადიონზე უნდა დარჩეს

ბაქოს „ნეფთჩისა" და საჩხერის „ჩიხურას" მატჩის დროსა და შემდეგ მომხდარ ინციდენტზე უკვე ვწერდით. თავიანთი აზრი გამოთქვეს მალალჩინოსნებმა. ყველაზე საინტერესო კი იქაური გულშემატკივრის და ადამიანების აზრია, რადგან მსგავს ფაქტებს ხშირად მოსდევს დაძაბულობა.

იქ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მათ დედაქალაქში გამოკიდებული ბანერი აშკარად გამაღიზიანებლად ჩანდა და პროვოკაციული შინაარსის იყო. მან გულშემატკივრის ყურადღება მიიქცია, რასაც აღშფოთება მოჰყვა. სპორტულ ღონისძიებაზე პოლიტიკური შინაარსის შემცველი სლოგანების გამოკიდება მიულებელია. გეხსომებათ, ახლახანს ვწერდით, რომ მსგავსი ბანერის გამოკიდებისთვის, არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია დასაჯეს, რადგან სლოვენიასთან მატჩისას ფოლკლენდის კუნძულების მხარდასაჭერი ბანერი ჰქონდათ გამოფენილი.

გასაკვირი არ იყო აზერბაიჯანელთა აგრესიაც – საქართველოს რუკაზე აღნიშნული იყო სადღეისოდ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიები. ხალხიც სწორედ ამან ალაშფოთა. ჩვენ გვქონდა საშუალება მათ გავსაუბრებოდით.

მათი საერთო აზრი კი ასეთია – ჩვენი მხრიდან გამოწვეული რეაქცია გამართლებული იყო, მსგავს ფაქტს ალბათ ვერავინ აიტანდა, მაგრამ ეს აგრესია უნდა დარჩეს სტადიონზე და არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხის ურთიერთობაზე.

ასეც იყო, ორი დღე-ღამის განმავლობაში დავდიოდი ბაქოში, მათ შორის „ჩიხურას" მაისურით, მაგრამ ზედმეტი არავის უკადრებია. ცხადია, გულდასაწყვეტი სიტყვები იყო მომხდარის მიმართ, მაგრამ საჩხერელთა მიღწეულ შედეგს უფრო მილოცავდნენ და სპორტული შედეგით სამაგიეროს გადახდას „მპირდებოდნენ". თუ რა იქნება, ამას განმეორებითი მატჩი გვიჩვენებს, მაგრამ, ვფიქრობთ, დაძაბულობას უნდა ავცდეთ.

და კიდევ: მომხდარი ფაქტის შემდეგ ყველა ჯოხი „ქართული სპორტის ქომაგებზე" გადატყდა, რადგან ბანერი მათი გამოფენილი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გოგო-ბიჭებს ეს ბანერი დიდი ხანია დააქვთ, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. არც მაშინ, როდესაც საქართველოს წყლაბურთელთა ნაკრები თურქეთში შეხვდა იქაურებს, არც საშინაო სანაკრებო თამაშებზე. მით უფრო, რომ ეს ბანერი ყველას თვალწინ იყო გამოფენილი, მათ შორის მალალჩინოსნების. ახლა კი, როდესაც ამ ბანერს ბაქოური ინციდენტი მოჰყვა, ქართული სპორტის წარმატებით გულანთებულ გოგო-ბიჭებს დაცვის ნაცვლად ყველამ „გადაუარა". ახლა დაირღვა საერთაშორისო კონვენცია? აქამდე სად იყავით?

# შედეგები

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰაიდენჰაიმი-ფრანკფურტი | 2:1 |
| დარმშტადი-ზანდჰაუზენი | 1:0 |
| კარლსრუე-უნიონი | 0:0 |
| ნიურნბერგი-აუე | 1:0 |

**ჰოლანდია. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| აიაქსი-ზვოლე | 0:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო-როსტოვი | 7:3 |
| ყუბანი-უფა | 2:0 |
| ლოკომოტივი-კრასნოდარი | 0:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ციურიხი-იანგ ბოიზი | 2:1 |
| სტ.გალენი-ლუცერნი | 2:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| გროდიგი-ვოლფსბერგერი | 0:2 |

**ბელგია. იუპილიგა**

| | |
|---|---|
| ლოკერენი-ვარეგემი | 2:1 |
| ბრიუგე-ლიერსი | 1:0 |
| გენტი-მეხელენი | 3:1 |

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-დუკლა | 0:1 |
| ლიბერეცი-პრჟიბრჟამი | 0:0 |
| პლზენი-იაბლონეცი | 3:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| პოდბესკიჟიე-რუხი | 3:0 |
| შლიონსკი-ზავიშა | 2:1 |
| ლეხი-ვისლა | 2:3 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ზორია | 1:0 |
| კარპატი-მეტალურგი(დ) | 0:1 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ნორდსიელანდი-ესბიერგი | 3:2 |
| ჰორბო-ბრონდბიუ | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| კალმარი-ბრომაპოიკარნა | 1:1 |
| ელფსბორგი-ატვიდაბერგი | 1:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ოდ გრელანდი-ულფი | 3:1 |
| ალესუნდი-ბოდო გლიმტი | 2:1 |
| სარპსბორგი-ჰაუგესუნდი | 0:2 |
| სტარტი-მიოლდე | 1:1 |
| სტაბეკი-რუსენბორგი | 4:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ვაასა-ლახტი | 1:3 |
| როვანიემი-კუუპიო | 3:1 |
| სეინეიოკი-ინტერი | 2:2 |
| ჰონკა-მარიეჰამნი | 1:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-დს იუნაიტედი | 1:0 |
| ჩივასი-დალასი | 0:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| კურიტიბა-კორინთიანსი | 0:0 |
| პალმერასი-ბაია | 1:1 |
| ფიგეირენსე-რესიფე | 3:0 |
| შაპოკოენსე-ფლამენგო | 1:0 |
| ატლეტიკო(მ)-ატლეტიკო(პ) | 3:1 |
| ინტერნასიონალი-სანტოსი | 1:0 |
| ფლუმინენსე-გოიასი | 2:0 |

# ქართველი მოკრივეები ევროკავშირის პირველობაზე მიდიან

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროკავშირის ღია პირველობაზე საასპარეზოდ ემზადება. 7-17 აგვისტოს პირველობას ბულგარეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. ჩვენი გუნდი ამ მასშტაბურ ტურნირზე პირველად გამოვა. საქართველოს გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობას კონტინენტის 45 ქვეყნის მოკრივეები მიიღებენ.

საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის დავით წიკლაურის ხელმძღვანელობით, ამ შეჯიბრებისთვის მზადების დასკვნით ეტაპს თბილისში, გლდანის კრივის დარბაზში გადის, მანამდე კუ გუნდმა საწვრთნელი შეკრება ბორჯომში გაიარა. ქართველი მოკრივეები ქალაქ სოფიაში 6 აგვისტოს გაემგზავრებიან.

მოამზადა მიხეილ ღორღოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კულტურა

# პატრიარქს 20.681 ნათლული ჰყავს

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს 20.681 ნათლული ჰყავს.

რიგით 36-ე საყოველთაო ნათლობა სამების ტაძარ-



ში გაიმართა. ერთ-ერთ ბოლო ნათლობაზე მისი უწმინდესობის ანთლული კიდევ 821 ჩვილი გახდა. ისინი ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან. მათ ილია მეორისგან ნათლობის მოწმობები, ჯვრები და სანთლები გადაეცათ საჩუქრად. ნათლობის დასრულების შემდეგ კი გაქრისტიანებული პატარებმა ნათლიამ ილია მეორემ დალოცა.

მისი უწმინდესობა ამ ინიციატივით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოვიდა. 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე გახმოვანდა, რომ პატრიარქი ჯვარდაწერილი წყვილების მესამე და მომდევნო შვილების ნათლია გახდებოდა. საქართველოს პატრიარქის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში პატრიარქის ნათლულთა მშობლებისთვის შემეცნებითი საუბრები ტარდება, სადაც ამ ნათლობის მნიშვნელობაზე შეკრებილ მშობლებს სასულიერო პირები ესაუბრებიან.

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და პრემიერის მხარდაჭერით შეიქმნა „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი. ფონდის პრეზენტაცია შარშან საქველმოქმედო კონცერტით აღინიშნა. პრეზენტაციისთვის კომპოზიტორმა რუსა მორჩილაძემ სპეციალური ჰიმნიც დაწერა, რომელიც ქართველმა მომღერლებმა თემურ წიკლაურმა, სოფო ხალვაშმა, სალომე კორკოტაშვილმა, „ქართულმა ხმებმა“ ჩაწერეს.

პატრიარქის ნათლულთა სიმრავლის გამო, საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები, ხომ არ შექმნიდა ეს მომავალში პრობლემებს, თუკი მისი უწმინდესობის ნათლულებს ერთმანეთი შეუყვარდებოდათ. როგორც ილია მეორემ განმარტა, მისი ნათლულები ერთმანეთის ნათესავები არ არიან, ამიტომ მათ ერთმანეთის შეყვარება პრობლემებს არ შეუქმნით.

# ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრმა გერმანიაში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრ-სტუდიამ „მოდი ნახე“ გერმანიაში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. თეატრის დასმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოადგინა სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, რომელიც ოტია იოსელიანის ნაწარმოების მიხედვით არის დადგმული. მისი დამდგმელი რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელია სტუ-ის თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს“ მთავარი რეჟისორი ნუგზარ ბუცხრიკიძეა.

სპექტაკლების ჩვენება კარლსრუეს სანდკორნ თეატრში მიმდინარეობდა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, თეატრის მოყვარულები, კრიტიკოსები და ოფიციალური პირები, მათ შორის, ქალაქის მერი ვოლფრამ იაგერი.

– სტუ-ს თეატრსა და სანდკორნ თეატრს 30 წლის განმავლობაში აკავშირებთ მეგობრობა და თანამშრომლობა. ჩვენი სპექტაკლების ჩვენებას დიდი წარმატება ხვდა წილად, რაც მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციითა და აპლოდისმენტით, ხოლო თეატრის კრიტიკოსებმა სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული დადებითი რეცენზიებით გამოხატეს. კრიტიკოსების განცხადებით, სპექტაკლი გამოირჩეოდა მაღალმხატვრული, საინტერესო რეჟისორული მიგნებებით, გადაწყვეტილებებითა და პროფესიონალური სამსახიობო ოსტატობით. განსაკუთრებით აღინიშნა სპექტაკლში მონაწილე მსახიობების მუსიკალური მონაცემები და პლასტიკა, რომელიც ორგანულად ერწყმოდა სპექტაკლის ორიგინალურ მხატვრულ ჩანაფიქრს. სპექტაკლების ფრაგმენტები ნაჩვენები იქნა სხვადასხვა გერმანული სატელევიზიო არხის საშუალებით, ასევე, დაიბეჭდა ვრცელი საგაზეთო სტატიები და პუბლიკაციები 15-მდე გერმანულ გაზეთსა და ჟურნალში, მათ შორის აღსანიშნავია ბადენის ცენტრალური გაზეთი, „კურიერი“, „კარლსრუე და რეგიონები“, – განაცხადა სპექტაკლის რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ.

სპექტაკლების შემდეგ სტუ-ის თეატრ-სტუდია „მოდი ნახემ“ წარმოადგინა სპეციალური საკონცერტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრ „მოდი ნახეს“ ფოლკლორული თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. თეატრის დელეგაცია საზეიმო ვითარებაში მიიღო ქალაქ კარლსრუეს მერმა ვოლფრამ იაგერმა, კარლსრუეს მერიის წინ აღიმართა საქართველოს დროშა და გაიმართა ოფიციალური მიღება მერიის სადღესასწაულო დარბაზში. „მოდი ნახეს“ ოფიციალური მასპინძელი იყო ქალაქ კარლსრუეს სანდკორნ-თეატრი, მისი დამფუძნებელი პროფესორი, დოქტორი ზიგფრიდ კრაინერი და თეატრის მთავარი რეჟისორი შტეფი ლაკნერი. სტუ-ს დელეგაციას გერმანულ ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა და ასევე, თეატრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი ქეთი ქოქრაშვილი.

საერთაშორისო

# მზად არის თუ არა ნატო რუსეთთან ომისათვის?

მოსკოვის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია. ნატოსა და მოსკოვის მომავალ კონფრონტაციაზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ. მზად არის თუ არა ნატო რუსეთთან ომისათვის? – ეს შეკითხვა გავლენიანმა ბრიტანელმა დეპუტატებმა დასვეს. ისინი თვლიან, რომ რუსეთის შეჭრა ნატოს წევრ რომელიმე სახელმწიფოში ნაკლებ მოსალოდნელია. სავარაუდოდ, კრემლი ე.წ. „ომის არატრადიციულ მეთოდებს“ გამოიყენებს. ესენია არარეგულარული ნაწილების გამოყენება და მასშტაბური დეზინფორმაციული კომპანია. ბრიტანელი დეპუტატების აზრით, ასეთი საფრთხე, უწინარეს ყოვლისა, ბალტიის ქვეყნებს ემუქრება.



ინგლისელი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ ნატოს ხელმძღვანელობა ასეთ სცენარისათვის უნდა მოემზადოს. აუცილებელია, რათა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატოს ქვეგანაყოფები და სამხედრო ტექნიკა განლაგდეს, შეიქმნას სწრაფი რეაგირების ჯგუფები, გადაიდგას ნაბიჯები, რაც ბალტიის ქვეყნებს არმიისა და სპეცსამსახურების გაძლიერებისკენაა მიმართული. დეპუტატების მიმართვას ფართო რეზონანსი მოჰყვა.

– ინგლისის პრემიერმა ქემერონმა ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რათა რუსეთთან ურთიერთობებს გადახედონ, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ქემერონმა აღნიშნა, რომ რადგან ნატო რუსეთს მოწინააღმდეგედ განიხილავს, სათანადო სტრატეგიის შემუშავებაა საჭირო. ქემერონის აზრით, ნატოს სწრაფი რეაგირების კორპუსის რიცხვი 25 000-მდე უნდა გაიზარდოს. ამას გარდა, უნდა გადაიდგას რეალური ნაბიჯები რუსული აგრესიის გასანეიტრალებლად.

# საბერძნეთში გაამართლეს ფერმერები, რომლებმაც მიგრანტებს ცეცხლი გაუხსნეს

ათენის სასამართლომ გაამართლა ფერმერები, რომლებმაც მიგრანტებს ცეცხლი გაუხსნეს. საქმე 2013 წელს სოფელ მია მენილადასთან მომხდარ ინციდენტს შეეხება. ადგილობრივმა ფერმერებმა ბანგლადეშელი მუშები დაიქირავეს. მოსავლის აღების შემდეგ ბანგლადეშელებმა ჩათვალეს, რომ დაპირებული ხელფასი მათ არ გადაუხადეს და დემონსტრაცია მოაწყვეს. მათსა და ბერძენ ფერმერებს შორის შეტაკება მოხდა. ბერძენმა ფერმერებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს.

– სროლის შედეგად ორ ბანგლადეშელი დაიჭრა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ფერმერები თავდაცვის მიზნით მოქმედებდნენ და სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა. ამ განაჩენმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი განაჩენს მიესალმნენ, მეორენი თვლიან, რომ სასამართლო ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ემოციებით და არა კანონით.

– ეს განაჩენი ძალადობის ახალ ფაქტებს წარმოშობს, – განაცხადა დეპუტატმა-ოპოზიციონერმა, ოპოზიციური პარტია „სირიზას“ წევრმა კატრივანუმ.

ფერმერებისადმი გამოტანილი განაჩენი საბერძნეთის პროფკავშირებმაც გააპროტესტეს. დაზარალებულთა ადვოკატები აპელაციის შეტანას აპირებენ.

# ლოს-ანჟელესის პოლიციამ აფრიკული კუ დააკავა

ლოს-ანჟელესის ქუჩებში აფრიკული კუ გამოჩნდა. ჩვეულებრივი კუსაგან განსხვავებით, ის ძალიან დიდი და მოძრავია. აფრიკული კუ 70 კგ-ს იწონის. გამვლელებმა უმალ პოლიციას მოუხმეს. კანონის დამცველებმა კუს დაკავება ცადეს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

– კუ საკმაოდ ჭკვიანი იყო. მან პოლიციელები შენიშნა და გაქცევა ცადა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

საკმაო სირბილის შემდეგ კუს დაკავება მოხერხდა. ის პოლიციაში წააბრძანეს და უპატრონო ცხოველებისათვის განკუთვნილ თავშესაფარში მოათავსეს. ამის შემდეგ პოლიციამ გაზეთებში სათანადო განცხადება გამოაქვეყნა. მალე კუს კანონიერი მეპატრონეები პოლიციაში მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ კუ აფრიკიდან ჩამოიყვანეს.

– ასეთი ცხოველის სახლში ყოლისათვის სათანადო ლიცენზიაა აუცილებელი. მათ ეს ლიცენზია არ ჰქონდათ, – განუცხადა ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტს ერთ-ერთმა პოლიციელმა.

მიუხედავად ამისა, კუ პატრონებს მაინც გაატანეს. პოლიციელებზე შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ კუს პატრონების მოსვლა ძალიან გაუხარდა.

– ჩვენც თვალი დავხუჭეთ იმაზე, რომ ლიცენზია არ ჰქონდათ, – თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მიწისძვრა ჩინეთში

ჩინეთის მთიან რაიონებში მიწისძვრა მოხდა. ბი-ბი-სი-ს ცნობით, მისი ეპიცენტრი იუნიანის პროვინციაზე მოდიოდა.

– შედეგად დაიღუპა 381 ადამიანი, ათასზე მეტი დაშავდა. დანგრეულია 14 ათასზე მეტი სახლი, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ჩინეთის ტელევიზიის ცნობით, ეს ყველაზე უფრო მძლავრი მიწისძვრაა, რაც უკანასკნელი 14 წლის მანძილზე მოხდა.

სპორტი

# შოთა კაშია: ნეფთჩის წარმატება სურს, მაგრამ ეს ჩვენ უფრო მეტად გვინდა

საჩხერის „ჩიხურას“ მცველმა შოთა კაშიამ „ნეფთჩის“ წინააღმდეგ კარგად ითამაშა და მისი ერთ-ერთ დიდი როლიც არის, რომ „ჩიხურა“ საპასუხო მატჩს უიმედოდ არ ხვდება.

შეგახსენებთ, რომ 7 აგვისტოს „მიხეილ მესხის“ სტადიონი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე რაუნდის დაპირისპირებას უმასპინძლებს.

„ჩიხურა“ „ნეფთჩის“ მის დამარცხებას შეეცდება. ბაქოში გამართული პირველი მატჩი კი, ამ ორ გუნდს შორის, ფრედ 0:0 დასრულდა.

***– რას იტყვით ბაქოში გამართულ მატჩზე?***

– ჩვენთვის მთავარი მიზანი იყო ბაქოში გოლი არ გაგვეშვა, რაც გამოგვივიდა კიდეც.

***– მსგავსი ტაქტიკა რატომ აირჩიეთ, მთელი მატჩი დაცვაში იდექით?***

– არა. ვფიქრობ, რომ ნორმალურად ვითამაშეთ. საშინაო შეხვედრაში კი უფრო უკეთ წარმოვაჩენთ თავს.

***– „ნეფთჩისგან“ მსგავს თამაშს ელოდით?***

– შეკრებაზე ორჯერ ვითამაშეთ „ნეფთჩის“ წინააღმდეგ. პირველად 3:2 მოვიგეთ, ხოლო მეორე მატჩი ფრედ 1:1 ვითამაშეთ. ჩვენი მთავარი მწვრთნელი კარგად იცნობს მოწინააღმდეგეს. მან ის დაგვარიგა, რაც ჩვენ მოედანზე შევასრულეთ.

***– არ გგონიათ, რომ „ჩიხურას“ გაუმართლა, „ნეფთჩის“ შექმნილ მომენტებს თუ გავითვალისწინებთ?***

– მეტოქესაც გაუმართლა. ჩვენც შეგვეძლო გაგვეტანა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრძოლით მოპოვებული ფრე იყო.

***– რა მოლოდინი გაქვთ განმეორებითი შეხვედრისგან?***

– „ნეფთჩი“ ძალიან კარგი გუნდია. ვიცი, რომ განმეორებით შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშებენ. მაგრამ ჩვენ ისე გავაკეთებთ ყველაფერს, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ.

***– „ნეფთჩის“ მოთამაშეები ამბობენ, რომ თბილისში წარმატების მიღწევას აპირებენ.***

– ჩვენც მსგავსი შედეგი გვინდა ჩვენთვის. მათ სურთ წარმატება, მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გვსურს.

***– ასე რატომ მიგაჩნიათ?***

– სახლში ვთამაშობთ, ჩვენი გულშემატკივრის წინაშე. ბაქოში, სტადიონზე არსებული ატმოსფეროც ძალიან კარგი იყო. თბილისში ეს უფრო კარგი იქნება. ამიტომაც შემდეგ ეტაპზე ჩვენს გულშემატკივარებთან ერთად გავალთ.

***– მიიჩნევთ, რომ „ნეფთჩი“ „ბურსასპორის“ ბედს გაიზიარებს?***

– დიახ. ჩვენ შევეცდებით „ნეფთჩიც“ იმ გზას გავუყენოთ, სადაც „ბურსასპორი“ გავუშვით.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 3. პომიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 4. მონღოლთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. ფოტოგრაფის სახელოსნო; 11. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიტვაში; 14. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 16. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 17. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 21. სახალხო მთქმელი, მომღერალი შუა აზიაში; 22. დედალი ღორი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 8. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 9. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. მტრედის ბარტყი; 13. ფრანგი მწერალი; 15. თეატრალური წარმოდგენის, კონცერტის ან მსახიობის გასტროლების მომწყობი აგენტი; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 20. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 21. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო თათბირი; 24. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. პარონიმი; 7. ფსიქიკა; 8. ნატრი; 9. ერატო; 10. ფითრი; 13. ანტონ; 15. კრიმანჭული; 18. მუდრეგი; 20. პონი; 21. ბინული; 23. ვეტერინარი; 24. ელარჯი.

**შვეულად:** 1. პარმეზანი; 2. ცირკონი; 3. ტირიფი; 4. სიონი; 5. სკერცო; 12. როტარუ; 12. მაჭარი; 14. ორთი; 16. რეზიუმე. 17. სპიდვეი; 19. გეპარდი; 21. ბრიჯი; 22. პაიკი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტიტანი; 2. რეგალია; 3. აგა; 4. საინი; 5. კიი; 6. ეშმაკი; 7. სვია; 8. პინია; 9. აკინაკი; 10. იკაროსი; 11. სი; 12. პაქტი; 13. სპორა; 14. პასკვილი; 15. ზი; 16. ვიგვამი; 17. ინა; 18. იზაი; 19. ბრა; 20. ელი; 21. მაკარტი; 22. აგორა; 23. თავადი; 24. ტაბუ; 25. კრივი; 26. კარაკალი; 27. რე; 28. კიურასაო; 29. რიალი; 30. არტისტი; 31. ბლე; 32. „ალია“; 33. არხარი; 34. კარაველა.

**სურათებზე:** ტარა რიდი; ვლად კირიკეში.

# მცხეთაში უნიკალურ მასალებს მიაკვლიეს

ეკა ირემაშვილი

არქეოლოგებმა მცხეთის ტერიტორიაზე უნიკალურ მასალებს მიაკვლიეს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, ოქროს საკიდები, ბეჭდები, საკინძები და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII მონეტა მცხეთაში, ფიქრის გორაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს მონეტა ადასტურებს, რომ ფიქრის გორის სამაროვანზე მცხეთის მოსახლეობის დაკრძალვა არა მხოლოდ IV-VI საუკუნეებში, არამედ შუა საუკუნეებშიც ხდებოდა.

მცხეთაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკა ანთიძის ჩასვლა დაიგეგმა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დაიწყებს მუშაობას, რომ მოპოვებულ არტეფაქტებს მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს. ფართო საზოგადოება უახლეს მონაპოვარს შემოდგომაზე თბილისში იხილავს. თვის ბოლომდე გადაწყდება და დადასტურდება თუ რომელ სივრცეში გამოიფინება ახალი მასალები. საბოლოოდ, კი აღნიშნული ნივთები ექსპონირებული იქნება მცხეთის ახალ მუზეუმში.

ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მცხეთის მუზეუმის შენობის ესკიზური პროექტი უკვე მზად არის, წლის ბოლომდე პროექტი სრულყოფილ სახეს მიიღებს და შენობის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები 2015 წელს დაიწყება.

# ქუთაისის ოპერის თეატრის ყოფილი დირექტორი კულტურის სამინისტროს უჩივის

ეკა ირემაშვილი

ქუთაისის ოპერის თეატრის ყოფილი დირექტორი ხატია ვედმედევა ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელს გოგი ჭიჭინაძესა და კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივის.

ხატია ვედმედევა ოპერაში დაბრუნებას სასამართლოს გზით აპირებს. აღნიშნული მიზნით მან თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით უკვე მიმართა, სადაც ის მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვს.

ოპერის თეატრის ყოფილი დირექტორი განმარტავს, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გოგი ჭიჭინაძეს მისი სამსახურიდან გათავისუფლება არ შეეძლო, რადგან როგორც ხატია ვედმედევა აღნიშნავს, გოგი ჭიჭინაძე თეატრში არ იმყოფებოდა.

– სასამართლოში უკვე ჩატარდა სამი პროცესი. გოგი ჭიჭინაძე, ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პროცესებზე დასწრებას თავს არიდებს. ჩემს გათავისუფლებაში მე კულტურის სამინისტროს იმდენად არ ვადანაშაულებ, რამდენადაც გოგი ჭიჭინაძეს. სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც ოპერაში არამიზნობრივ ხარჯს არ ადასტურებენ. ბატონი გოგის ბრძანებაში შეცდომებია დაშვებული. ის სამსახურში არ იმყოფებოდა და არ შეეძლო გადაწყვეტილება მიეღო, – განაცხადა ხატია ვედმედევამ.

ხატია ვედმედევა ქუთაისის ოპერის თეატრიდან თეატრში არამიზნობრივი ხარჯისა და თანხების გაფლანგვის მიზეზით გაათავისუფლეს. ამ ამბავს ბიკინის სკანდალიც უწოდეს, სადაც ირკვეოდა, რომ ქუთაისის ოპერის თეატრის ყოფილმა დირექტორმა საბიუჯეტო თანხები ეპილაციაში დახარჯა.

ხატია ვედმედევა ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორის თანამდებობაზე თორნიკე მარჯანიშვილმა შეცვალა. მისი კანდიდატურა კულტურის სამინისტროს ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოგი ჭიჭინაძემ წარუდგინა. მისი თქმით, თორნიკე მარჯანიშვილი პროფესიონალია, კარგად ერკვევა თეატრის მუშაობაში, არის კარგი ხელოვანი და ადმინისტრატორი. თორნიკე მარჯანიშვილმა ხატია ვედმედევა შეცვალა, რომელიც ორი თვის წინ გათავისუფლდა ოპერის თეატრის დირექტორის თანამდებობიდან.



ოპერის თეატრის დირექტორის თანამდებობა თორნიკე მარჯანიშვილის დანიშვნამდე ვაკანტური იყო, ამჟერად ქუთაისის ოპერის თეატრს ახალი დირექტორი ჰყავს. მას ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორად მუშაობის 27 წლიანი გამოცდილება აქვს. ის ჟურნალისტებსაც შეხვდა და ოპერის თეატრის სამომავლო გეგმებზე ესაუბრა:

– ჩემთვის მოულოდნელი იყო ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ჩემი ძირითადი მუშაობა პროექტების დამუშავებასა და ფინანსების მოძიებას შეეხება. გარდა ამისა, დაწყებული მაქვს მუშაობა სქემაზე, სადაც თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები იქნება გაწერილი. არის პრობლემებიც, თუმცა, მასშტაბურ ცვლილებებს არ ვგეგმავ. ოპერის თეატრი ქუთაისისთვის ნამდვილად საჭიროა. მოვალეობის შესრულებას უკვე შევუდექი, ეს არის უფრო ტექნიკური კუთხით იმ საქმეების მოგვარება, რაც ალბათ არის მთავარი პირობა იმისა, რომ ოპერის თეატრმა გამართულად იმუშავოს ნებისმიერ სფეროში. მთავარი პრიორიტეტი სპექტაკლების ჩვენებაა, გასვლა იქნება ეს თუ გასტროლი, თუ ურთიერთობები, ყველაფრისთვის უნდა იყოს ბაზა. ჩემი აქ დანიშვნა განაპირობა იმან, რომ როგორც ტექნიკური, ისე შემოქმედებითი განათლება მაქვს, ორი უმაღლესი დავამთავრე, პოლიტექნიკურიც და სარეჟისორო ფაკულტეტზეც ვისწავლე, გამოცდილებაც ორივე კუთხით მაქვს, ნამუშევარი ვარ როგორც დირექტორად მესხიშვილის თეატრში, ასევე რეჟისორად. ოპერის თეატრი მაინც სპეციფიკურია, ის ერთიანობა, რაც სჭირდება ერთ თეატრს, ასევე სჭირდება მეორე თეატრს. მთავარი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, გამოიკვეთოს მკვეთრად, ვის რა ფუნქცია ავალია და ვინ რა საქმე უნდა აკეთოს. ძალიან დიდი რუდუნებით და მონდომებით უნდა აკეთოს ყველამ თავისი საქმე და შედეგი ყოველთვის უკეთესი იქნება, – განაცხადა თორნიკე მარჯანიშვილმა.

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალმა დირექტორმა ჟურნალისტებთან განმარტა, რომ მისი მუშაობა პროექტების დამუშავებასა და ფინანსების მოზიდვას დაეთმობა. გარდა ამისა, გენერალური დირექტორი თითოეული თანამშრომლისათვის უფლება-მოვალეობების გაწერასა და ოპერის თეატრში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასაც გეგმავს. ახალმა დირექტორმა თეატრში არსებულ ფინანსურ პრობლემებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ თეატრს ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება.

თავის მხრივ ხატია ვედმედევა პოზიციების დათმობას არ აპირებს და განმარტავს, რომ თავის სიმართლეს აუცილებლად დაამტკიცებს და უკანონოდ გათავისუფლებულ თანამდებობაზეც დაბრუნდეს. მორიგი სასამართლო პროცესი, სადაც ხატია ვედმედევას საქმეზე შესაძლოა გადაწყვეტილება გამოცხადდეს, 5 აგვისტოს არის დაგეგმილი.

# ფილიმონ მგალობელი ფოლკლორის ცენტრში გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი

**წმიდა ფილიმონ მგალობელი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიხსენეს. საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა წმიდა ფილიმონ მგალობლის (ქორიძის), ერისთვის თავდადებულის, ხსენების დღისადმი მიძღვნილი ლექცია.**

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის წევრმა ლუარსაბ ტოგონიძემ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ფილიმონ ქორიძის განვლილ გზაზე, მის პიროვნებასა და ღვაწლზე.

– ფილიმონ ქორიძეს, თავისი ხმისა და ნიჭის პატრონს, შეეძლო, მსოფლიოში ცნობილი ბარიტონი გამხდარიყო, მაგრამ მან არჩევანი სამშობლოსა და მისი კულტურის საკეთილდღეოდ გააკეთა: XIX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ქართული გალობის ჩაწერა-დაფიქსირების საქმე გააგრძელა და ქართული ოპერის შექმნის ნაცვლად, ქართული გალობის აღდგენის კომიტეტს ჩაუდგა სათავეში, ფაქტობრივად სამგალობლო ელიტას და ქართული გალობა გაქრობა-დავიწყებას გადაარჩინა. 1883 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით ქუთაისში მიწვეულ მგალობელთა გუნდების შესრულებაში გამოჩნდა ფილიმონ ქორიძისა და მისი თანამოაზრეების უდიდესი შრომა, ქართული გალობის ღირსებაც და ნაკლიც. რაც მთავარია, გამოიკვეთა ქართული გალობის მომავალი და გადარჩენის გზა: გელათის, შემოქმედის, მარტვილის, ხონის სამგალობლო კილოების მცოდნეთაგან წელიწად-ნახევარი იწერდნენ ქართული გალობის ნიმუშებს. თბილისში ფილიმონ ქორიძის, რაჟდენ ხუნდაძის, ექვთიმე კერესელიძის, მაქსიმე შარაძის ძალისხმევით დაიბეჭდა პირველი სანოტო კრებულები, 1895 წელს კი გამოიცა იოანე ოქროპირის წირვის ლიტურგია. ფილიმონ ქორიძის მოღვაწეობის ბოლო წლები ოზურგეთს და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს უკავშირდება. ასევე ცნობილ მგალობლებს ანტონ დუმბაძეს, ივლიანე ნიკოლაძეს, ვარლამ სიმონიშვილს... ფილიმონის მოწაფეები იყვნენ და მის გუნდში მღეროდნენ არტემ ერქომაიშვილი, სამუელ ჩხიკვიშვილი და სხვები. ოზურგეთში პოვა საბოლოო განსასვენებელი დიდმა მომღერალმა, მგალობელმა, მეცენატმა, პედაგოგმა და ქართული გალობის მოჭირნახულემ. წმიდა ფილიმონ მგალობლის შესახებ საზოგადოება უფრო მეტს შეიტყობს იტალიის არქივებში მასალების მოძიება-აღმოჩენის შემდეგ, – განაცხადა ლუარსაბ ტოგონიძემ.

ღონისძიების დასასრულს შეკრებილმა საზოგადოებამ მოისმინა ანზორ ერქომაიშვილის მიერ აღმოჩენილი, 1901 წელს ჩაწერილი 80 წლის ფილიმონ ქორიძის ხმა „მრავალჟამიერი“.

# ერმაკოვის ფოტოები საჯაროა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ფოტოხელოვანის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები საჯაროა. 31 აგვისტოს ჩათვლით ნიდერლანდების ფოტოგრაფიის მუზეუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით წარმოადგენს დიმიტრი ერმაკოვის არქივის ფოტომასალის გამოფენას. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება 100-ზე მეტი ნამუშევარი ფოტოგრაფის კოლექციიდან.

– დიმიტრი ერმაკოვის არქივი აღნიშნული პერიოდის ამსახველ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ კოლექციას წარმოადგენს და ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია. არქივი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩაუტარდა კონსერვაცია და რესტავრაცია, რომელიც ნიდერლანდების ფოტოგრაფიის მუზეუმის და ნიდერლანდების ფონდ „ჰორიზონტის“ ხელშეწყობით განხორციელდა. ფოტოხელოვანი ფოტოგრაფიით 1860-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა, 1880 წელს კი საკუთარი ატელიე გახსნა თბილისში გოლოვინის პროსპექტზე. საკმაოდ ვრცელია ერმაკოვის მოღვაწეობის არეალი, მის არქივში თავმოყრილია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სპარსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთის, შუა აზიის ქვეყნების და სხვა რეგიონების ამსახველი ფოტოსურათები, იგი იღებდა ურბანულ და ლანდშაფტურ პეიზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს და პორტრეტებს. ერმაკოვის არქივი უნიკალურია, იგი მოიცავს 20.000-ზე მეტ ფოტოს, 16.000-მდე ნეგატივს, 13.000-მდე სტერეო სურათს, 100-მდე ფოტო ალბომსა და სხვადასხვა ტიპის ფოტოაპარატებს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ერმაკოვის არქივის უდიდესი ნაწილის მფლობელია, რომელიც წარმოადგენს იმ პერიოდის ამსახველი უნიკალური მასალის ერთ-ერთ სრულყოფილ ვერსიას. გამოფენა იმართება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნიდერლანდების ფოტომუზეუმისა და ნიდერლანდების ფონდი „ჰორიზონტის“ ერთობლივი ძალისხმევით, – განუცხადა „ახალ თაობას“ ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

# ვანიკო თარხნიშვილი მამა გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი შეგრძნებაა. ემოციების ცვლა ჩემში კლასიკურად მიმდინარეობს და არაფრით არ გამოვირჩევი იმ უამრავი ადამიანისგან, ვისაც პირველი შვილი უჩნდება. მეც, როგორც ყველას, თავდაყირა დამიდგა ყველაფერი. დიდ სიხარულს და დიდ შიშს ერთდროულად ვგრძნობ. დაძაბულობა პიკს აღწევს და, რაც მთავარია, ერთი სული მაქვს, ბოლოს და ბოლოს ვნახო, ვინ ზის ჩემი ცოლის მუცელში, მთელი ეს პერიოდი ლაღად რომ დაბრაგუნობს იქ. მაგრამ ცოტა ხანს მოცდა მომიწევს... ჩემს ცხოვრებას გადავხედე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ბევრი ამპლუა მქონია: მსახიობი, წამყვანი, მომღერალი და ახლა ახალი ამპლუისთვის ვემზადები – მამა უნდა გავხდე! მოკლედ, ყველაფერი კარგად არის და მომავალსაც კარგი პირი უჩანს. ეს ძალიან მახარებს!“ – განაცხადა საქართველოდან გამგზავრებამდე ვანიკო თარხნიშვილმა.

ახალბედა მამიკო საქართველოში კიდევ დიდხანს არ დაბრუნდება. კინომსახიოთა თეატრმა ედინბურგის ფესტივალზე სპექტაკლები აგვისტოს ბოლომდე 24-ჯერ უნდა ითამაშოს. ბილეთები ელვის სისწრაფით იყიდება და ყველა წარმოდგენაზე სრული ანშლაგებია. ედინბურგის შემდეგ სპექტაკლი, რომელშიც ვანიკო თარხნიშვილი ლორის როლს ასრულებს, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში გათამაშდება. საქართველოში დაბრუნებულ ვანიკო თარხნიშვილს სახლში თავისი პირველი შვილი დახვდება.

ეკა ირემაშვილი

# ნანუკა ჟორჟოლიანი თაკო ფხაკაძეს უპირისპირდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფინანსებდა და როგორ ტყუილებს თავი უნდა დაანებო! ტყუილებზე მაქვს საუბარი! ერთი ეკა ბესელიას დროს შემოაკვდა ქმარი ინტიმური ურთიერთობების დროს (როგორც ამას თაკო ამბობდა) და მეორე კოდუას აქვს რამე შეხება მედიასთან! გავიგე, რომ ყველა მთავრობას ეგეთი სჭირდება, მაგრამ რით ველარ შეიცვალა სტანდარტი! როგორც წინა შსს ისე ესენი აკეთებენ ამ დებილ საიტებს, ყრიან ჭორებს, ბეჭდვური მედიით აკეთებენ სისულელეებს! ზუსტად იგივეა! ადამიანებიც კი არ შეუცვლიათ! რაც მე მსმენია, სტილი იგივეა. უბრალოდ ახლანდელ შსს-ს სუსტი ყავს ის, ვინც ამას აკონტროლებს. როგორი რეპორტაჟებიც ჰქონდა ისე გამოდის ეს საქმეც და პიარიც! სულ ვფიქრობდი რომ არ ღირს პასუხის გაცემა, ზედმეტი იქნება მისთვის და აღარ დაამთავრა! ზღვარი ხომ აქვს ყველაფერს. ისე მაინც დარეკე ჟურნალისტი რომ ხარ. თან არის ვილაცები და რაღაცები რომ მათგან ტყუილი კიდევ უფრო მეტად გალიზიანებს იმიტომ, რომ იცი მათი მორალური სტანდარტი! და იცი ზოგადად ყველაფერი!“, – აცხადებს ნანუკა ჟორჟოლიანი.

როდის შეიტანს სარჩელს ნანუკა ჟორჟოლიანი თაკო ფხაკაძის წინააღმდეგ, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

ეკა ირემაშვილი

## სამშაბათი 5 აგვისტო

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.30 ან./ფ "დაქ დოჯერსი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა** 18.30 "ჩემი წიგნი" 22.00 მხ/ფ **"ჯეინ ეარი"** 00.00 "უცნობი მუსიკა" 01.30 მხ/ფ **"ფანტოცის დაბრუნება"**

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** 11.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 12.00 მხ/ფ **"დედმამიშვილები"** I ნაწ. 16.00 დ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ **"დედმამიშვილები"** 2 სერ.

06.45 სერ. **"შურისმაძიებელი"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 16.50 SV - მარკეტი 11.30 სერ. **"სილა"** 2 სერ. 13.00 კულინარიული დუელი 14.45 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.45 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ. **"ბამბის ველი"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"20 წუთი"** 9 სერ. 23.00 სერ. **"კენედები"** 00.00 მხ/ფ **"ძმები"** (ნ.პორტმანი) 01.55 მხ/ფ **"მებრძოლი"**

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 3-4 სერ. 00.00 სოციალური ცელი 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

08.00 ჯიდიპედია 08.50 ტყუილის გარეშე 09.30 ვარსკვლავების ცხოვრება 10.00, 19.00 **სერიალი "ლენა"** 11.00 TOP 10 12.00, 20.00 URBAN STORIES 12.30 SONG STORY 13.00 სტილის სამყარო 13.30 მისტერ ამიკო 14.00 დ/ფ 15.00, 21.00 ლეგენდა 15.50, 16.45, 17.45, 20.45, 21.50 ქვიშის ზღაპრები 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.30, 17.30 მინიპედია 17.00 პოპკორნი 18.00 დ/ფ 22.00 მხ/ფ 23.40 მუსიკა

06.10 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I ნაწ. 07.10 სპექტაკლი - **"ბედი ქართლისა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08:30, 18.25 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ოვალური ბურთი" 11.05 დ/ფ "იალალობა აჭარაში" 11.35 პატერიკი 11.40 სახლი ღვთისა 12.10 მხ/ფ **"დიმიტრი II"** I ნაწ. 13.20 კონცერტი - ელისო ბოლქვაძე 14.30 ქვიშით ნაამბობი 14.40 დ/ფ "მამა პაისი" 15.05 ტელეზღაპარი 15.25 დ/ფ "ლადო ასათიანი" 16.20 კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალი 18.10 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მოკ./ფ. **"ჰობოი"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი - მანანა ანუა "იური ანუა" 23.45 სიახლენის სიუჟეტი 00.35 განთიადის სიუჟეტი 01.00 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II ნაწ. 02.15 ირაო

მაესტრო 7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 8.40, 22.00, 1.40 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) 10.03, 11.03 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.03, 14.03 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03, 20.03 **სერიალი "თანაგრძნობა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.50 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 1.20 გადაცემა "ID"(გამ) 2.20 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 აგვისტო

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7359 |
| ევრო | 2.3252 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.9224 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8588 |

## ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსთვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალეიდოსკოპი

### მადონა დავითის ვარსკვლავისა და ნახევარმთვარის გამო გააკრიტიკეს

– ინტერნეტში მადონას ხელმომწერებს შორის ცხარე კამათი გაიმართა მომღერლის მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათის გამო, რომელზეც დავითის ვარსკვლავი, მუსლიმანური ნახევარმთვარე და ღაზას სექტორში მშვიდობისკენ მოწოდებაა განთავსებული, – იტყობინება „დეილი მეილი". კომენტარებში ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა მადონას სისულელე, სიონიზმი და ტერორიზმიც კი დასდო ბრალად.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სურათზე



მადონა წელამდე გაშიშვლებულ ორ მოცეკვავე ახალგაზრდასთან ერთადაა გამოსახული, რომლებსაც სხეულზე დავითის ვარსკვლავი და ნახევარმთვარე აქვთ დახატული. „არა სეპარაციას! ჩვენ ერთი სისხლის ვართ!" მიაწერა ფოტოსურათს პოპვარსკვლავმა.

ამ ფოტოსურათის გამოქვეყნებამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. მადონას ხელმომწერებმა ერთმანეთის ლანძღვასა და მომღერლის შეურაცხყოფას მიჰყვეს ხელი. თავიანთ კომენტარებში სოციალური ქსელის მომხმარებლებს ეჭვი შეჰქონდათ მომღერლის გონებრივ შესაძლებლობებში, ყოველივე ცუდს უსურვებდნენ და „ებრაელი ტერორისტიც" კი უწოდეს.

მიუხედავად მის მიმართ ასეთი დამოკიდებულებისა, აღნიშნულმა ფოტოსურათმა სოციალურ ქსელებში 59,4 ათასი მოწონება დაიმსახურა.

მადონამ 30 ივლისსაც გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს ეძღვნებოდა. მასზე გამოსახული იყო ჰამსა (ანუ „ღმერთის ხელი" – ერთნაირი თაყვანისცემის საგანი როგორც მუსლიმანების, ისე იუდაველებისთვის). ავგაროზზე გამოსახული იყო მშვიდობის მტრედი და წარწერა „მშვიდობა". სხვათა შორის, ამ ფოტომაც დიდი კამათი გამოიწვია სოციალურ ქსელში.

### საფრანგეთში ღვინის ბარის გახსნა გადაწყვიტეს

ცენტრალური საფრანგეთის რეგიონ პიუი-დე-დომში მდებარე საავადმყოფო კლერმონ-ფერანაში, პალიატიური დახმარების ცენტრში მიმდინარე წლის სექტემბერში პაციენტებისთვის, მათი მეგობრების და ნათესავებისთვის ღვინის ბარი გაიხსნება. ეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსდა. პაციენტების მომსახურება საკუთარ



თავზე დაწესებულების თანამშრომლებმა აიღეს, მათვე აქვთ დავალებული ალკოჰოლური სასმელის ავადმყოფების მიერ მოხმარების გაკონტროლებაც.

ღვინის ბარის გახსნის იდეა სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა ვირგინი გასტელამ წამოაყენა. მისი თქმით, ღვინის ბარი განუკურნებელი სენით დაავადებულებს განტვირთვასა და ტონუსის ამაღლებაში დაეხმარება.

ბარში პაციენტებს, ღვინის გარდა, შამპანურსა და ვისკისაც შესთავაზებენ. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ უკვე შეისყიდა ალკოჰოლური სასმელები, რომელთაც ღვინის ბარის გახსნამდე დაწესებულების სარდაფში შეინახავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნანუკა ჟორჟოლიანი თაკო ფხაკაძეს უპირისპირდება

**ტელენამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი გაზეთ „პრაიმ ტაიმის" რედაქტორს თაკო ფხაკაძეს უპირისპირდება და აცხადებს, რომ თუკი ის ბოდვას არ მორჩება, სასამართლოში სარჩელს მიიღებს:**

„გაზეთი პრაიმ თაიმი რომ არის! ნაციონალების შექმნილი გაზეთი. ისინი რომ აფინანსებდნენ! ეკა ბესელიას პირადს, ბერაზე მარაზმებს და ცელულიტებს რომ განიხილავდა (ყდები ხო არ შეგახსენოთ) და დღეს რომ შსს-ს მაღალჩინოსანი ფსევდონიმით წერს! ბოდვას არ მორჩება და სასამართლოში სარჩელს მიიღებს! მაინც რომ იცოდეს და სამწუხაროდ ის გაზეთი რედაქტორთან ნაცნობობის გამო მეც რომ ვაპიარებდი. თამარ გორთამაშვილი ფხაკაძეს გადაეცი! ცუდად მიცნობს! რაც უნდა ისე წეროს! ნუ ბოდავს უბრალოდ! მორჩეს! მორჩეს ფულის და კეთილდღეობის გამო ზღაპრების მოგონებას! თორემ აქამდე ქუთოს თუ ვითვალისწინებდი მაგასაც არ გავითვალისწინებ და მოუწევს სასამართლოში ტყუილებზე პასუხის გაცემა!" – აცხადებს ნანუკა ჟორჟოლიანი.

ტელენამყვანი ასევე ინტერესდება იმ გაზეთით, რომელიც კოდუამ გააკეთა:

„თამარ გომართელი, რა გაზეთი გააკეთა კოდუამ? და წამყვანი ჟურნალისტები გადაიყვანაო, გავიგებდი დაეწერათ ფეხსაცმელების ცეხი გააკეთაო. მეტი საქმე არ აქვს! მაგრამ მიპასუხეთ, რომ ბოდავთ, რა ჰქვია გაზეთს?!



არ მიპასუხებთ და ადვოკატი ეძებეთ! თქვენთვის კახეთიდან მოსამართლეს არავინ ჩამოიყვანს. აქ საქმე ისაა, რომ არ შეიძლება შევარდნაძის დროს შევარდნაძე გიხდიდეს და გიკვეთავდეს მუსიკას, მიშას დროს ნაციონალები და ქართული ოცნების დროს შსს! სტატი-



ებს დავუდებ ფსევდონიმით რომ წერს შსს მაღალჩინოსანი და ირაკლი ალასანიას ცოლი გადაცემაში რომ მოვიყვანე და პოზიტივი გავაკეთე, მახსოვს, პრაიმ თაიმის რედაქტორი მსაყვედურობდა, მაგ ქალის გაბანძებაზე რაც ვიწვალეო ერთი გადაცემით წყალში ჩამიყარეო! თაკო იყო ასე! იმედში ირაკლი ალასანიას ცოლი მყავდა სტუმრად. მანამდე მისი საოცარი ფოტოები იბეჭდებოდა მაგ გაზეთში და ჩემი გადაცემის შემდეგ იწუწუნა თაკომ, რა მიქნა ჟორჟოლიანმაო! ამდენი ნაწვალები წყალში ჩამიყარა ერთი გადაცემითო! ადრე მირეკავდნენ ან ზოგადად რეკავდნენ და კითხვას მაინც გისვამდნენ და ეხლა აღარც კი რეკავენ! თაკო ფხაკაძეს კარგად უნდა შევახსენო რაღაცები! როდესაც ქაქში ზიხარ და იციან დაკვეთებს საიდან როგორ იღებდი, ვინ გა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ვანიკო თარხნიშვილი მამა გახდა



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი და ტელეწამყვანი ვანიკო თარხნიშვილი მამა გახდა. მას პირველი შვილი ბიჭი შეეძინა. ვანიკოს მეუღლემ სოფო გელავამ რამდენიმე დღის წინ იმშობიარა და პატარა ბიჭი გააჩინა. მსახიობი ამჟამად ედინბურგში იმყოფება, სადაც ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის" მსოფლიო პრემიერას თამაშობს გაი მასტერსონის მიერ დადგმულ სპექტაკლში.

„აქამდე სხვა რაღაცებს ვარქმევდი სასწაულს. ნოემბრიდან მოყოლებული თავდაყირა დადგა ყველაფერი, შეფასებები, შეხედულებები. სხვანაირია გულისცემის რიტმი, სუნთქვის სიხშირე, ნაბიჯის სიგრძე, ხალების ფერი, სიზმრების სიმკვეთრე. სული სული ორი სული, ორი მე ორი ჩვენ. ამ სასწაულში ვცხოვრობ მერამდენე თვეა უკვე, ცოტაც და სასწაულის სხვა გაგრძელებები სხვა აღმოჩენებით დამაკავებს. მე მზად ვარ," – აცხადებდა სოფო გელავა შვილის დაბადებამდე.

ვანიკო თარხნიშვილი და სოფო გელავა გასული წელს დაქორწინდნენ. ოჯახის შექმნით მსახიობმა წერტილი დაუსვა მშობლების და დედმამიშვილების გაუნუწყვეტელ ნერვიულობას მის დაოჯახებასთან დაკავშირებით. სოფო გელავა თარხნიშვილებმა საკმაოდ თბილად მიიღეს. ოჯახში ნაბოლარა ვანიკოზე ზრუნვას თანაბრად ინაწილებს ოჯახის ყველა წევრი, განსაკუთრებით რძალ-მული. როგორც სოფო ამბობს, დაოჯახების შემდეგ ის და ვანიკო ერთმანეთისთვის ნამდვილი მეორე ნახევრები გახდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სოფოს ქმრის მიმართ ობიექტურობა და კრიტიკულობა შეინარჩუნოს.

ვანიკო თარხნიშვილი ამჟამად კინომსახიობთა თეატრში და რუსთავი ორში მუშაობს, მღერის ჯგუფში „გამოუვალი მდგომარეობა", რომელიც კონცერტისთვის ემზადება და აქტიურ რეპეტიციებს გადის. სხვადასხვა ფილმებსა თუ სერიალებში მონაწილეობის პარალელურად, „რუსთავი 2"-ის გადაცემებიც მიყავს. მათ შორისაა „ნიჭიერი", „ბრავო" და „იღბლიანი ბორბალი", სადაც მან დუტა სხირტლაძე შეცვალა. ვანიკო თარხნიშვილი მომხიბვლელ შორენა ბეგაშვილთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს დაშიფრული სიტყვის გამოცნობაში ეხმარება.

„კიდევ ერთხელ გავიაზრე, რომ მამა ვხდები. ძალიან უცნაუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



***

აფრიკაში მდინარეში ტურისტები ბანაობენ. მთელი სოფელი გამოვიდა მათ სანახავად. ერთ-ერთი ტურისტი თარჯიმანს ეკითხება:

– ასე ხმამაღლა რაზე მსჯელობენ? თეთრკანიანები არ უნახავთ?

– არა, თქვენ არაფერ შუაში ხართ, უბრალოდ, უკვირთ, ნიანგები ასე რამ გააზარმაცა!

***

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა დაემართა ლევანს, ქორწილის შემდეგ ენა რატომ ებმება?

– მისი ცოლის სიდედრს ორი ტყუპი და ჰყოლია და სამივე ერთად რომ ნახა, ენა დაება.

***

მოხუცი უკმაყოფილო სახით უყვება მეგობარს:

– ომი გადავიტანე, ასევე სამი ავტოკატასტროფა, ერთიც საავიაციო, ორი წარუმატებელი ქორწინება მქონდა და ერთი წარმატებული, ვალების გამო სამჯერ ამიწერეს ქონება და ერთხელ გავკოტრდი, გუშინ კი შვილიშვილი მეუბნება: „ბაბუ, შენ ამ ცხოვრების არაფერი გაგეგება!"

***

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– რა მოგივიდა, ვინ გცემა?

– გუშინ ლიფტში შევედი და ჩემთან ერთად ერთი სავსემკერდიანი ქალი მგზავრობდა.

– მერე?

– უნებურად მის მკერდს მივაშტერდი, ის კი მოულოდნელად მეუბნება: „რას უცდით, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თითი მიაჭიროთ?" მეც მივაჭირე და მერე აღარაფერი არ მახსოვს...

***

ჩვენს ბავშვობაში მშობლებს ჩვენი სახლში შეყვანა უჭირდათ, რომ საჭმელი მაინც გვეჭამა. ახლა კი მშობლებს ბავშვების გარეთ გაყვანა უჭირთ, რათა სუფთა ჰაერი მაინც ჩაისუნთქონ...

***

ქალი სილამაზის სალონში შევა და მის თანამშრომელს ეუბნება:

– მე მინდა ისეთი მანიკიური, როგორიც ბრიტნი სპირსს აქვს, ასევე ანჯელინა ჯოლის მაკიაჟი, ნაომი კემბელის პედიკიური...

– და სახე ჟერარ დეპარდიესი დაგიტოვოთ? – ეკითხება სილამაზის სალონის თანამშრომელი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 4. ლომების ჯოგი; 6. მართლმადიდებელთა წმინდა წიგნი; 9. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე; 13. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 14. პირველი ქართული წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 15. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. ქეიფი, დროსტარება; 18. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 20. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ცეკვა, სრულდებოდა ახალი წლის პირველ დღეს; 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 8. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. რაიმე პირობითა და ვადით გაცემული თანხა; 11. პოპულარული პარკი ბარსელონაში; 12. სოფელი ხევსურეთში; 16. მუსლიმანთა საერთო სახელწოდება ძველად; 17. ფირმა „ფიატის" მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 19. სვლა ჭადრაკში; 21. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 22. გამოსაკითხი ფურცელი ცნობების შესაგროვებლად; 23. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 24. გია დანელიას კინოკომედია.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ასტროპროგნოზი
5 აგვისტოსთვის

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – ფული გაქვთ, პრობლემას აგვარებთ. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი, ბედი გწყალობთ. **ლომი** – თქვენი საქმე წინ მიდის, ბედს ეწევით. **ქალწული** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **სასწორი** – ყველაფერი ისე იქნება, როგორც წარმოგიდგენიათ. **მორიელი** – არ აყვეთ პროვოკაციას, საქმეს ნუ გაამწვავებთ. **მშვილდოსანი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, საღამო მართლა მშვენიერი იქნება. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **მერწყული** – წინ მიდიხართ, მაგრამ ნელა. **თევზები** – დაისვენეთ, მიიღეთ ხილი და ვიტამინები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!